h 43.

№ 8

ბოლშევიკი





ფრანგ მეზღვაურთა გაფიცვების ხელმძღვანელთა ერთი ჯგუფი.

19 სექტემბერი

რემედასის

საქ. ცენტრალური და ტფ. კომიტეტების
ყოველთვიური ორგანო

28 ტფილისი

თვიდან-თვემდე

ალბანეთი

ფაშიზმი იჭრება ალბანეთში.

მიმდინარე წლის ივლისის 20 ტირანეში ჩამოაბრჩეს თედორე ვულკანოვი, თედორე გეორგიევი, იბრაჰიმ არაპი, რომლებსაც ბრალი ედებოდათ ახმედ ზოგუს წინააღმდეგ მოქმედების გამო. ახლო წარსულში დურაციოში კონუნისტური პროპაგანდისათვის დააპატიმრეს ქემალ ბულახო, გაზიმ ნეკიუ და ხუსეინ მუსკატაუსენი არიან ინტელიგენტები—ვექილები და ექიმები. ყოველდღიურად, სისტემატიურად სწარმოებს დაპატიმრებები. ამრიგად ახმედ ზოგუ აწარმოებს საარჩევნო კომპანიას თავის სასარგებლოდ.

(ხ. სტანისლავ ლანცუცკი. იხ. გვერ. 7.)

ვენგრია

შავი ორგები.

მას შემდეგ, რაც სამარცხვინოთ დაიშალა ეგრეთ წოდებული ჯგუფი „გამოფხიზლება“ მთავრობამ ხელმეორედ ჩამოაყალიბა მე-2 ანალოგიური ჯგუფი „შავორბების“ სახელწოდებით. ამ „ნაციონალურ“ და „ანტიმარქსისტურ ლიგაში“ თავმოყრილია მეტის მეტად საეჭვო ელემენტები, უმუშევრები, რომლებიც გამორიცხულნი არიან. თავიანთი ორგანიზაციებიდან და რომლებიც ცნობილნი არიან როგორც სისხლის სამმართლის დამნაშავენი. ლიგის წევრები კვირაში ღებულობენ 20 პენას ჯამაგირის სახით. ისინი ატარებენ ნაციონალურ, მადიარულ ჭუდებს და ფორმას და მთელი მათი მუშაობა გაოიხატება პოლიციელებთან ერთად შემჩნეულ მუშების დევნაში.

პალესტინა

რემედასში მუშაობისათვის დაპატიმრება.

იერუსალიმიდან იტყობინებიან ახალ დაპატიმრებების შესახებ. რემედასში მუშაობისათვის დააპატიმრეს 3 მუშა ქალი. მუშა ქალს სარა ბროიდოს რემედასში მონაწილეობისა და მის სასარგებლოდ შემოწირულებათა შეგროვებისათვის მიუსაჯეს 2 თვე საპატიმრო და გადასახლება ქვეყნის საზღვრებიდან. ამავე საბაბით გაასამართლეს ფულმა, მუშა ქალი სარა ზიდლერ.

ომის საწინააღმდეგო პლაკატები ბერლინის ქუჩებში.

პოლონეთი

ლოძის სასამართლოს განაჩენი.

ლოძის სასამართლოს მიერ, საპირველმაისო დღესასწაულთან დაკავშირებით გამოტანილია მთელი რიგი განაჩენები, გამოტანილია განაჩენი ამავე დროს სხვა გამოსვლების გამო, რომელიც მუშებმა მოაწყვეს მიმდინარე წლის გაზაფხულში.

საპირველმაისო დემონსტრაციაში მონაწილეობისათვის ორ მუშას მიესაჯა საკატორლო მუშაობა 2—2 წელი თითეულს. კოებაზე მონაწილეობის მიღებისათვის, სადაც მოხსენებას აკეთებდა სეიმის კომუნისტი—დეპუტატი ბ ი ტ ნ ე რ ი, მუშა შკუდლარს მიესაჯა 4 წელი კატორლა. მუშა გიცს კომუნისტური ლიტერატურის გავრცელებისათვის მიეს ჯა 2 წელი კატორლა.

ბულგარეთი

პოლიტ-პატიმრების მოკვლა.

ბულგარეთის ოხრანკა იტყობინება პოლიტ-პატიმარის პ ა ნ დ ო ტ ი გ ო ვ ი ს „თვითმკვლელობის“ შესახებ. ამავე დროს ისინი იტყობინებიან მლადენ სტოიანოვის „უგზო-უკვლოდ დაკარგვის“ შესახებ. ორივე ისინი დააპატიმრეს ახლო წარსულში მუშათა პარტიის მოღაწეების მასიური დაპატიმრების დროს, ამავე დროს დაპატიმრებულნი არიან მთელი რიგი სხვა, რევოლიუციონურ პროფკავშირების ხელმძღვანელები.

რუმინეთის ყველა საპყრობილებში უდიდეს ტანჯვა-დამცირებას განიცდიან პოლიტ-პატიმრები.

ბულგარელი კომუნისტები ამხ. ამხ. კოევი, ზაგორსკი და ფრიდმანი ჩამობრჩობის წინ.

363(∞)(05)
443.
საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა
ტფილისი

წელიწადი მეოთხე

№ 8

სექტემბერი

∞ 1928 ∞

რემედა

რემედასის საქართველოს ცენტრალური და ტფილისის კომიტეტების ყოველთვიური ორგანო

პროლეტარეთო ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

რედაქციის მისამართი:
ტფილისი, ლენინის ქ., № 29, II-რე სართ.

∞ ტელ. 9-78 ∞

რ ე მ ე დ ა ს ი ს კ ვ ი რ ე უ ლ ი

ბურჟუაზიულ ქვეყნებში პროლეტარიატის რევოლიუციონური ბრძოლა აძლიერებს ფაშიზმსა და თეთრ ტერორს. ყველა იმ დიდსა, თუ პატარა ქვეყნებში, სადაც მუშათა კლასი და რევოლიუციონური გლეხკაცობა ხელი-ხელ ჩაკიდებულნი ებრძვიან თავიანთ მჩაგვრელებს, რათა საბოლოოდ თავი დააღწიონ ჩაგვრა-მონობას — ბურჟუაზიამ აღმართა სახრჩობელები; ეს უკანასკნელი განუკითხავად ანადგურებს არა მარტო იარაღით ხელში გამოსულ რევოლიუციონერების საუკეთესო რიგებს, არამედ ბავშებსა და ქალებსაც კი.

თუ რამდენად მწვავე და მოუთმენელია თეთრი ტერორისა და ფაშიზმის მოქმედება, ეს სჩანს: იტალიაში ჩატარებულ მასიურ დაპატიმრებებისაგან; ამავე დროს მზადდება სამხრეთ-სლავიის, ვენგრიის, რუმინეთისა და ბულგარეთის მშრომელთა გასამართლების პროცესი. პოლონეთის ბურჟუაზია დღითი-დღე უფრო მეტ „სიფხიზლეს“ იჩენს თავის „ბურჟუაზიულ სამოთხის მშვიდობიანობის“ დასაცავად და ციხე-ჯურღმულებს ავსებს რევოლიუციონერებით.

ყველაფერი ეს, უწინარეს ყოვლისა, ს. ს. რ. კ. მშრომელთა წინაშე აყენებს საკითხს — ბურჟუაზიული ქვეყნების პოლიტ-პატიმართა და მათი ოჯახის წევრებისადმი დახმარების აღმოჩენის მოგვარების შესახებ.

ეს დიდათ საპასუხისმგებლო ამოცანა შესრულებული იქნება, მხოლოდ იმ პირობებში, თუ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ყველა მშრომელი მონაწილეობას მიიღებს რემედასის მუშაობაში, რომელიც მოწოდებულია მომავალ საერთაშორისო დიად ოქტომბერს შეუნარჩუნოს საერთაშორისო მუშათა კლასისათვის თავდადებულთა სიცოცხლე. რემედასი პირნათლად ემსახურება ამ მოვალეობას დღიდან თავისი დაარსებისა მშრომელთა მასების უშუალო მონაწილეობით. ეს იცის მთელმა მუშურმა მსოფლიომ და აი, სწორედ ამიტომაც არის, რომ მის ყოველდღიურ საქმიანობას დიდის სიყვარულით თვალყურს ადევნებენ ბურჟუაზიის საპყრობილეებში მოქცეული პატიმრები და თავისუფლებაში მებრძოლი რევოლიუციონერები.

აი რას ამბობს მიმდინარე წელს საპყრ. გოლნოვიდან განთავისუფლებული პოლიტ-პატიმარი ა მ ხ. ვ ი ნ ე ნ ბ ე რ გ ი.

„პატიმრობის დროს დიდათ მანუგეშებდა ის ფაქტი, რომ არსებობდა ორგანიზაცია, რომელიც მონაწილეობას იღებდა ჩემს ოჯახში. მე დიდათ ვწუხვარ იმის გამო, რომ ჯერ კიდევ ყველა პროლეტარებს ვერ შეუგნიათ, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს რემედასის მსგავს ორგანიზაციის არსებობას მუშათა კლასის ბრწყინვალე გამარჯვებისათვის. ჩვენ დაპატიმრების დროს ფიცი მივეცით ჩვენს ამხანაგებს, რომ საპყრობილიდან განთავისუფლებისთანავე გავაკეთებთ ყველაფერ იმას, რაც ხელს შეუწყობს მათ დაუყონებლივ განთავისუფლებას ტყვეობიდან, მაგრამ თავის თავად ცხადია ამისათვის საჭიროა ყველა ჩვენთაგანი აქტიურად მუშაობდეს რემედასში. ჯერ-ჯერობით მე ულრმეს მადლობას გწირავთ იმ სიყვარულისა და მზრუნველობისათვის, რომელიც თქვენ გამოიჩინეთ ჩემს მიმართ, ახლო მომავალში მე შევეცდები საქმით დავამტკიცო, რომ მე არ დავკმაყოფილდები მარტო ლიტონი სიტყვით ჩვენ აქტიურად ჩავებმებით რემედასის მუაშაობაში, რათა საპყრობილის თკინის კედლებში მოქცეულ ამხანაგებს შეუმსუბუქოთ თავიანთი მძიმე პირობები“.

პოლიტ-პატიმრებისა და მათი ოჯახის წევრებისადმი დახმარების აღმოსაჩენად ყოველწლიურად რემედასის ორგანიზაციები ჩვენში ატარებენ ე. წ. რემედასის კვირეულს — საზამთრო კამპანიებს. ზოგიერთ ბურჟუაზიულ ქვეყნებში, მაგალითად გერმანიაში, სადაც ასე თუ ისე ლეგალურ პირობებში უხდება მოღვაწეობა რემედასის მოძმე ორგანიზაციებს, ტარდება „საშობაო კამპანია“. იქ ყოველწლიურად შობის წინა კვირის განმავლობაში ტარდება კამპანია, ვინაიდან საშობაოთ ნებადართულია პოლიტ-პატიმრებზე ყოველგვარი დახმარების გადაცემა, როგორც ფულადი, ისე სურსათ-სანოვაგისა და სხვ.

ჩვენში კი რემედასი ყოველდღიურად ატარებს ამ მუშაობას, ჩვენ ვაგროვებთ არა მარტო მათ დასახმარებელ თანხებს, არამედ ვაწარმოებთ მასების ინტერნაციონალურად აღზრდის უდიდეს საქმეს. ამიტომ ჩვენმა ორგანიზაციებმა უნდა იღონონ, რათა პოლიტ-პატიმართათვის დახმარების შეგროვებასთან ერთად გააღრმავონ მშრომელ მასების ინტერნაციონალურად აღზრდის საქმე.

გამოვაცოცხლოთ აღმზრდელობითი მუშაობა

რემედასის ორგანიზაციების მუშაობაში უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის მკვიდრ ნიადაგზე დაყენებას.

დღემდის ეს მუშაობა ატარებდა კამპანიის ხასიათს, ხოლო სისტემატიური მუშაობა კი გამოიხატებოდა კაპიტალისტურ ქვეყნების საპყრობილეებში მოქცეულ პოლიტ-პატიმართა სასარგებლოთ სხვადასხვა სახის დახმარებათა შეგროვებაში.



ომის საწინააღმდეგო დემონსტრაცია ლონდონში

პოლიტ-პატიმართა სასარგებლოთ დახმარების შეგროვებასთან ერთად რემედასის ორგანიზაციებმა ხელი უნდა მოკიდონ პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის საკითხების მოგვარებას. რემედასის ძირითად ორგანიზაციებში აღმზრდელობითი მუშაობის გასაღრმავებლად და რემედასის სააგიტაციო მუშაობის მოსაგვარებლად საჭიროა საფუძვლიანად შეიცვალოს მუშაობა აგიტკომისიების ჩამოყალიბებით და უჯრედებთან აგიტ-პროპ-ორგანიზატორების გამოყოფით, რათა ამრიგად შემთხვევითი მუშაობიდან გადავიდეთ უფრო თანდათანობით და სისტემატიურ მუშაობაზე.

კამპანიების ჩატარებასთან ერთად საჭიროა სისტემატიურად წარმოდგენილ იქნეს საერთაშორისო რევოლიუციონური ბრძოლის ეპიზოდები და პროლეტარიატის საერთო კლასიური ერთსულოვნება, რემედასის უჯრედი მხოლოდ ამ გზით შესძლებს გახდეს მშრომელ მასების ინტერნაციონალურად აღმზრდელი.

რემედასის ორგანიზაციების მასიურ მუშაობაში ერთ-ერთ უმთავრეს ფორმად უნდა ჩაითვალოს აგიტკომისიისა და აგიტ-პროპ-ორგანიზატორების მუშაობის გეგმიანობა.

აგიტ-პროპ-მუშაობის გეგმაში კალენდარულ კამპანიების გარდა, როგორიცაა, მაგ.: როზა ლიუქსემბურგის და კარლ ლიბკნეხტის მკვლელობა, თებერვლის რევოლიუცია და რუსეთის პოლიტ-პატიმართა განთავისუფლება, მშრომელ ქალთა საერთაშორისო დღე, პარიზის კომუნის დღე, 26 კომუნარების დახვრეტა, ოქტომბრის რევოლიუცია, რემედასის იუბილე და სხვა, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულნი არიან რემედასის აგიტაციურ მუშაობის შინაარსთან, უნდა მიემატოს აგრეთვე საშეფო მუშაობის საკითხები, საზღვარ-გარეთელ საშეფო ციხეებთან მიწერ-მოწერის მოგვარება, რემედასის კუთხეების მუშაობა, მუშაობა პრესაში, რემედასის მუშაობა კლუბებში, საოჯახო საღამოების მოწყობა, მუშაობა ქოხ-სამკითხველოებსა და კედლის გაზეთებში და სხვა და სხვა.

რემედასის აგიტაციურ-პროპაგანდისტული მუშაობა მჭიდროთ უნდა დაუკავშირდეს საერთო მასიურ და კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას ფაბრიკებში, ქარხნებში, დაწესებულებებში, ქოხ-სამკითხველოებსა და კლუბებში, რისთვისაც გეგმა უნდა შეუთანხმდეს ერთიმეორეს, რათა მუშაობაში ადგილი არ ექნეს პარალელიზმს.

მუშაობის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აქტივის წამოყენებას და მის ჩაბმას მუშაობაში. მათ უნდა დაევალოს ცალკე ღონისძიებათა გატარება. რადგანაც აგიტ-პროპ-ორგანიზატორები სხვა პარტიულ, პროფესიონალურ და საზოგადო დავალებებით იქნებიან დატვირთულნი, ამიტომ საჭიროა გადავიდეთ კოლექტიურ მუშაობაზე. ეს ღონისძიება მიზნად უნდა დაისახონ უჯრედებმა თავიანთი მასიურ კულტურულ-პოლიტიკურ და აღმზრდელობითი მუშაობის გასატარებლად წარმოებებში, დაწესებულებებში და ქოხ-სამკითხველოებში.

მიხ. ცქვიტინიძე.

„წითელი დახმარება“ გერმანიაში

„წ ი თ ე ლ ი დ ა ხ მ ა რ ე ბ ი ს“ ორგანიზაციის ჩამოყალიბებისთანავე გაბატონებულმა კლასმა სასამართლოს, პოლიციის და სოციალ-დემოკრატების დახმარებით შეეცადა ხელი შეეშალა მისი ნაყოფიერი მუშაობისათვის. ორგანიზაციამ ჩამოყალიბებისთანავე მიიმხრო სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი მუშებისა და „მემარცხენე“ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ხელმძღვანელების მცირეოდენი ნაწილი.

ეს გარემოება მოსვენებას არ აძლევდა სოციალ-დემოკრატ-ლიბერალებს: — იმ ხალხს, რომლებმაც საკმაოდ თავი ისახელა თავისი ბნელი საქმეებით. ეს ვაჟბატონები გახლავთ — ბ-ნი: ნ ო ს კ ე, ვ ე ლ ს ი, ზ ე ვ ე რ ი ნ გ ი და სხვ. მათ ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ გამოიტანეს დადგენილება, სადაც ნათქვამია, რომ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის წევრი შეუძლებელია შედიოდეს „წითელ დახმარების“ საზოგადოებაშიო.

გერმანიის რეფორმიზმის ბელადები ლამობდენ პროლეტარულ მასების, „წ ი თ ე ლ ი დ ა ხ მ ა რ ე ბ ი ს“ ორგანიზაციისადმი სიმპატიის გაქარწყლებას, თავიანთი საკუთარი ორგანიზაციის, ე. წ. მ ა ტ ე ო ტ ი ს ფონდის დაარსებით, მაგრამ სოციალ-დემოკრატებს ბედმა აქაც ვერ გაულიმა. ადვილი გასაგებია ეს დამარცხება. ჩამოყალიბების პირველ წლებში არ შეეძლო სრული დახმარება გაეწია თეთრი ტეროორის უდიდესი მსხვერპლისათვის. ხშირად უცხოეთის მოძმე ორგანიზაციებისაგან მიღებული დახმარებითაც შეუძლებელი იყო პოლიტ-პატიმართა უდიდესი მოთხოვნილების დაკმაყოფილება. მაგრამ წელთა განმავლობაში ყველაფერი ეს შეიცვალა; ეხლა კი, ბურჟუაზიული თეთრი ტეროორის ყოველ წევრს შეუძლია იმედი იქონიოს „წითელ დახმარების“ საზოგადოებისაგან, როგორც მატერიალურ, ისე მორალურ დახმარების მიღებაზე.

ეს იცის გერმანეთის პროლეტარიატმა, ამიტომაც არის, რომ „წ ი თ ე ლ დ ა ხ მ ა რ ე ბ ი ს“ საზოგადოების წინააღმდეგ სოციალ-დემოკრატების მიერ წარმოებული დემაგოგია, რომ ყოველთვის მარცხით თავდება ხოლმე. ესეც რომ არ იყოს ბურჟუაზიას ეხლა არც ისე იოლად შეუძლია აკრძალოს ისეთი ორგანიზაციები, რომლებიც სარგებლობენ მუშათა ფართე მასების ნდობითა და სიმპატიით.

ბურჟუაზია იძულებული გახდა გულხელდაკრეფილი განზე გამდგარიყო, გზა დაეცალა პროლეტარულ მასებისათვის ნება მიეცათ ეწარმოებიათ შემოწირულებათა აკრება პოლიტ-პატიმართა და მათი ოჯახების დასახმარებლად. ამ დახმარების მორალური მნიშვნელობა მტკიცდება პოლიტ-პატიმრების მიერ ათასობით გადმოგზავნილი წერილებით.

„წ ი თ ე ლ ი დ ა ხ მ ა რ ე ბ ი ს“ საზოგადოების მიერ მოწყობილია ბავშთა დახმარება საბავშო სახლებში, საცა თავშესაფარს ჰპოულობდნენ არა მარტო ადგილობრივი პოლიტ-პატიმართა, არამედ უცხოეთის რევოლიუციონერების ბავშები, მეტის-მეტად ხელს უწყობდა ამ ორგანიზაციის გავლენის ზრდას მშრომელ მასებში.

დღეს კი, „წ ი თ ე ლ ი დ ა ხ მ ა რ ე ბ ი ს“ ორგანიზაცია უდიდესი მუშური ორგანიზაციაა, რომელიც თავის რიგებში ითვლის 20.000 ინდივიდუალურსა და 400.000 მეტ კოლ. წევრებს. 10.000 აქტივისტი ხელს უწყობს ამ ორგანიზაციას, რათა მან სისტემატიური დახმარება აღმოუჩინოს პოლიტ-პატიმრებს და მშრომელ მასებში ფართე აგიტაცია - პროპაგანდა გაუკეთონ ორგანიზაციის იდეებს.

ამრიგად თუ კი „წ ი თ ე ლ ი დ ა ხ მ ა რ ე ბ ი ს“ ორგანიზაციამ ჩამოყალიბების პირველ დღეებშივე შესძლო თავის დანიშნულებისათვის ჯეროვანი პასუხი გაეცა; დღეს მით უფრო ის გაცილებით უფრო მოღონიერებულია და აქტიური დახმარების გაწევა შეუძლია უცხოელ ამხანაგებისათვის. „წ ი თ ე ლ ი დ ა ხ მ ა რ ე ბ ა“ ერთ-ერთი ძლიერი რგოლია გერმანიის მუშათა კლასის რევოლიუციონური მოძრაობისა, რევოლიუციონური მუშებიც მომავალში შეეცდებიან მის უფრო გაძლიერებას.

ფ. გეკერტი.

პოლიცია მოითხოვს წიგნებიან კაცის დეონსტრაციიდან განდევნას (ბერლინი)

„26“-ს დახვრეტის 10 წლისთავი

ათი წლის წინათ შორეულ უდაბნოში მუშათა კლასის მოსისხლე ჯალათებმა ვერაგულად დახოცეს ბაქოს პროლეტარიატის წინამძღოლი, რჩეული გმირები, პროლეტარული რევოლიუციის ბელადები: ალიოშა ჯაფარიძე, სტეფანე შაუმიანი, აზიზბეკოვი, ვან. ფიალეტოვი და 22 სხვ. ეს მოხდა მაშინ, როცა ა/კ. ბატონობდენ დასავლეთის იმპერიალისტები და მათი მოკავშირენი: ესერები, მენშევიკები, დაშნაკები, მუსავატელები, რომლებმაც გაჰყიდეს მუშათა კლასის საარსებო ინტერესები.

ეს იყო მაშინ, როცა რუსეთის ყოფილი დიდი იმპერიის ტერიტორიაზე დაიძვრენ რევოლიუციონური ტალღები და პროლეტარიატი დღითი-დღე აღწევდა ახალ-ახალ გამარჯვებებს და ამკვიდრებდა ოქტომბრის დღეების ბრწყინვალე მონაპოვარს. ბაქოს პროლეტარიატმა თავისი ბელადების ხელმძღვანელობით შეჰქმნა კომუნა და ხმა-მაღლა გამოაცხადა თავისი სიყვარული და ერთგულება ოქტომბრის დიდი რევოლიუციისადმი. მან მთელს პროლეტარულ მსოფლიოს აცნობა, რომ ის მზად არის თავი შესწიროს ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარის განმტკიცებას ამიერ-კავკასიაში. ამრიგად პროლეტარულმა ბაქომ აღმართა წითელი დროშა და მზად დადგა რევოლიუციის სადარაჯოზე.

ცზინანში იაპონელების ინტერვენციის შემდეგ. იაპონელ ჯარისკაცები ტყვიამფრქვეველებით მუშათა უბანში სახლისს ახურავზე.

რას აკეთებდენ ამ დროს მენშევიკები, მუსავატელები და დაშნაკელები? მათ თავიანთი მოკავშირე ჰპოვეს ამიერ-კავკასიის ეროვნებათა წვრილ-ბურჟუაზიულ ფენებში. ისინი შეეცადნენ ეს უკანასკნელნი მჭიდროთ დაერაზმათ თავიანთ დროშის ქვეშ და მთლიანი ძალ-ღონით სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაეჩაღებიათ, რათა ამრიგად შეეჩერებიათ პროლეტარული რევოლიუციის განვითარება ამიერ-კავკასიაში.

მუშათა კლასის მოსისხლე მტრებმა ამით შექმნეს ერთგვარი წინააღმდეგობა „წ ი თ ე ლ ი ი მ პ ე რ ი ა ლ ი ზ მ ი ს“ წინააღმდეგ. ამ დროს ამიერ-კავკასიის ერები განიცდიდენ საშინელ ეკონომიურ სივიწროვეს, ერთის მხრივ ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტური ჯარების თარეში, და მეორეს მხრივ განადგურებულ-გაპარტახებული მეურნეობა, რომელიც შედეგათ მოჰყვა მსოფლიო ომს სულს უხუთავდა ამიერ-კავკასიის მშრომელთ.

ცხადია, რომ ასეთ პირობებში შეუძლებელი იყო ბაქოს კომუნის არსებობა ვინაიდან ის თავის მოღვაწეობის გაფართოებას აპირებდა ქალაქ ბაქოს გარეშეც, მაგრამ ბაქოს პროლეტარიატი დროებით დამარცხდა ამ ბრძოლაში და ინგლისის იმპერიალისტების მიერ დახვრეტილ იქნა ბაქოს “26 კომუნარი“.

ამ საზიზღარ მკვლელობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდენ: მენშევიკები, დაშნაკელები და მუსავატელები ამიერ-კავკასიის „დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ“ წყობილების გახანგრძლივებისა და „ბ ო ლ შ ე ვ ი კ ე ბ ი ს ბ ა რ ბ ა რ ო ს ო ბ ი ს ა გ ა ნ“ თავის დაღწევის მიზნით.

მიუხედავათ ამ საზიზღარი აქტისა ამიერ-კავკასიის პროლეტარიატი გმირულად იბრძოდა სოციალისტური რევოლიუციის მოსახდენად. რევოლიუციონურმა მუშათა კლასმა მტკიცედ განაგრძო თავისი წინამძღოლების გზა და ის დღითი-დღე ამზადებდა მუშათა კლასს ახალ გადამჭრელი ბრძოლების დასაწყებად.

ამიერ-კავკასიის პროლეტარიატმა მოიპოვა პოლიტიკური ძალა-უფლება, ქვეყნის მართვა-გამგეობას ჩამოაშორა მუშათა კლასის მოღალატე ცრუ-სოციალისტები და დაამყარა საბჭოთა წყობილება. ამრიგად ძველ რუსეთის ტერიტორიაზე დამყარდა საბჭოების ძალა-უფლება. ათი წელია, რაც რუსეთის მუშათა კლასი აწარმოებს დაუღალავ შემოქმედებით ბრძოლას ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართა შესანარჩუნებლად.

პროლეტარიატის სიძლიერე, მისი სახელმწიფოებრივი უნარი ეხლა ყველა ურწმუნო თომებისათვისაც აშკარა გახდა. საბჭოთა კავშირის არსებობისა და შემოქმედებითი მუშაობის ათი წელი ახარებს და იმედებით ავსებს დასავლეთისა და აღმოსავლეთის დაჩაგრულ ერების გულს. საერთაშორისო ბურჟუაზიამ და მისმა დამქაშებმა იციან, რომ ოქტომბრის რევოლიუციის გავლენა თანისთან ძლიერდება სხვადასხვა ქვეყნის მუშათა მასებში, ამიტომაც არის, რომ ის ასე გამძაფრებით ებრძვის ამ გავლენის გაძლიერებას. ბურჟუაზიას ამ საზიზღარ საქმეში აქტიურად ეხმარება თეთრი ტეროორი, კლასიური იუსტიცია და სოციალ-დემოკრატია.

საერთაშორისო რევოლიუციონური პროლეტარიატი დღითი-დღე მტკიცე რიგებად ირაზმება კომუნისტურ ინტერნაციონალის დროშის ქვეშ. ის რწმუნდება, რომ ბურჟუაზიასთან გადამწყვეტი ბრძოლის წარმოების გარეშე არ არის ხსნა, მაგრამ ბურჟუაზია მისი დამქაშების დახმარებით ანადგურებს მუშათა კლასის რევოლიუციონურ მოძრაობას, აპატიმრებს ამ მოძრაობის საუკეთესო ხელმძღვანელებს და ასამართლებს მათ, როგორც „სახელმწიფოს მოღალატე“ ელემენტებს.

მუშათა კლასმა უდიდესი მსხვერპლი გაიღო განსაკუთრებით უკანასკნელ 10 წლის განმავლობაში, ის ყოველდღიურად ახალ-ახალ მსხვერპლს სწირავს თავისუფლების მოპოებას. ამ მსხვერპლთა დახმარების საქმეს აწესრიგებს რემედასის ორგანიზაცია; თუ ინგლისის იმპერიალისტების ჯალათებმა შავი რეაქციის დროს სიცოცხლეს გამოასალმეს 26 რჩეული გმირი სამაგიეროთ ჩვენ აქ მოვიპოვეთ სრული გამარჯვება და ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობასთან ერთად ვეხმარებით მთელი ქვეყნის რევოლიუციონურ პროლეტარიატს თავის მჩაგვრელებთან ბრძოლაში.

რემედასის ორგანიზაცია ხელს უწყობს, როგორც კაპიტალის პატიმართა მდგომარეობის გაუმჯობესებას, ისე რევოლიუციონურ მასებში ინტერნაციონალურად აღზრდას, ამიტომ დღეს ბაქოს პროლეტარიატის რჩეული გმირების დახვრეტის 10 წლის თავზე ჩვენ უნდა შევსძახოთ საერთაშორისო პროლეტარიატს: ახლოა ჟამი კაპიტალის დაღუპვისა, მოვა დრო, როცა პროლეტარულ რევოლიუციის ახალი გმირები ანგარიშს მოსთხოვენ სისხლიან ჯალათებს მათ მიერ უდანაშაულოდ დაღვრილ სისხლის ასანაზღაურებლად.

დღეს, „26“ კომისარის დახვრეტის 10 წლისთავზე ჩვენ გაორკეცებულის ენერგიით უნდა შევუდგეთ ტყვე რევოლიუციონერების დახმარებას, რათა ღირსეული პასუხი გავსცეთ ყველა იმ ნაძირალებს, რომლებიც ლამობენ ს. ს. რ. კ. ძლიერების შესუსტებას.

ა. გევორქიანი.

მისი ამხანაგის ნაამბობი

სტანკო იყო ისეთი ადამიანი, რომელიც არ შეიძლებოდა ჭეშმარიტ რევოლიუციონერს არ ჰყვარებოდაო, — გვიამბო ჩვენ ამხანაგმა-მეზღვაურმა.

— აი, — განაგრძობდა ის და გაზეთზე მიგვითითებდა, — ეხლა უკვე ყველასათვის აშკარა იყო ვის უწოდებდენ სტანკოს.

ჩვენ გავიცანით ის 1925 წელს, მე მაშინ მემანქანეთ ვმუშაობდი ერთ-ერთ სავაჭრო გემზე.

შემოდგომის დღე იდგა. ჩვენ მივცურავდით მდინარე დუნაიზე. 5 სათის შემდეგ ჩვენი გემი უნდა შეჩერებულიყო ერთ-ერთ პატარა ქალაქის ნავთსადგურზე, სადაც ალბათ დავიცდიდით რამოდენიმე საათით.

მე მთელი ძალ-ღონით ნიჩბით ვყრიდი ქვა-ნახშირს, რომელიც უმალვე ენთებოდა და ირგვლივ აპნევდა ცეცხლის მოლაპლაპე ძნებს. ვიხრჩობოდი სიმხურვალისა და შავად დამდგარ ბუღში.

უმალ მომიახლოვდა ერთ-ერთი ამხანაგთაგანი და ჩურჩულით მითხრა:

— დღეს საღამოთი ქალაქში კრება იქნება... გესმის სტანკო... გამოსვლები...

საღამოვდებოდა. ჩვენ მივაღწიეთ ნავთსადგურს. თანახმად კონსპირაციისა შევიკრიბენით დანიშნულ ადგილას.

პატარა ოთახი. ოცდაათზე მეტნი ვართ. სივიწროვეა. თუთუნის კვამლით სავსეა ოთახის მოცულობა. თუთუნისა და ოფლის სუნი მძიმედ აწვება გულ-მკერდს. აქ პირველად ვნახე მე ამხ. სტანკო. ის მომცრო ტანისაა, ამშვენებს მრგვალი პირისახე, ღონიერი კუნთებით. ბოლოს მე გავიგე, რომ მას ძლიერ ჰყვარებია სპორტი და გამუდმებით მეცადინეობდა ხოლმე.

ამ საღამოს სტანკო ლაპარაკობდა ჩვენს მომავალ უახლოეს ამოცანების შესახებ. ლაპარაკობდა ის მარტივად, გასაგებად, შთამაგონებლად, მოკლეთ, სხარტად და დამაჯერებლად. ის მარჯვენა ხელს გამუდმებით იქნევდა, თითქოს რაღაცას დაეძებდა მაღლით და იატაკზე ჰყრიდა. ის ხშირად წკურავდა თვალებს, შემდეგ ისინი უცნაური ცეცხლით ენთებოდენ. მე იმ წუთში ძალიან ვწუხდი, რომ არ ვიცოდი თუ ვინ იყო სტანკო — ეს ნათელი და ჭეშმარიტი რევოლიუციონერი პიროვნება. სამწუხაროდ ამხანაგებმაც, რომელებსაც მე შევეკითხე იმის შესახებ, ვერა მიპასუხეს რა, იქნება არც იცოდენ რამე, ან ვინ იცის, იქნებ არ სურდათ ჩვენი არალეგალურობის პრინციპების დარღვევა.

მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ მე გავიგე იმის შესახებ რაღაც ძალიან ცოტა, გავიგე, რომ ის სწავლობდა ოდესღაც საბჭოთა კავშირში წითელ აკადემიაში, ის ეხლახან დაბრუნდა სამხრეთ-სლავიაში და დაიწყო ენერგიული მუშაობა არალეგალურ პირობებში. ის ეროვნებით სლავიანელია. გავიდა რამოდენიმე ხანი და ჩვენ ყველანი დაგვაპატიმრეს ბელგრადში.

სტანკო დააპატიმრეს მის დროებით ბინაში, ნატალია კარიცას ქუჩაზე, სადაც იპოვეს ძალიან ბევრი საგიტაციო მასალები.

ჩვენ ყველანი წაგვაყენეს ქალაქის მმართველობის წინაშე, შემდეგ კი გადაგვაგზავნეს საპყრობილე **„გლავნიაჩა“**-ში.

პირველად ჩვენ დაგვანაწილეს ცალ-ცალკე საკნებში. ჩვენდამი მოპყრობა იყო ყოვლად საშინელი, მოუთმენელი, არაადამიანური...

კარგათ მახსოვს, ალბათ სამუდამოთ დამამახსოვრდება ის, რომ მე შემიყვანეს ერთ ნახევრად ბნელ ოთახში. დაიწყო დაკითხვა. პირველად დაკითხვას აწარმოებდა პოლიტიკური პოლიციის შეფი აჩიმოვიჩი, შემდეგ შემოვიდა ოთხი ჯაშუში და, როგორც იტყვიან, მე დამითრიეს... რამოდენიმე დარტყმის შემდეგ მე გონება დავკარგე. არ მახსოვს თუ რამდენ ხანს გაგრძელდა ეს საშინელი ტანჯვა...

ცხადია სამხრეთ-სლავიის საპყრობილეებში არსებული საშინელი რეჟიმის შესახებ დაწვრილებითი ცნობების გადმოცემა აუცილებლობას არ მოითხოვს, ვინაიდან ალბათ ყველა თქვენთაგანს კარგათ ახსოვს იქიდან მიღებული შთაბეჭდილება.

მეზღვაური გაჩუმდა. ის გაქვავებული თვალით მიაშტერდა დანარჩენებს. თითქოს ამით უნდოდა გამოერკვია ამხანაგების მიერ მიღებული შთაბეჭდილება, რის შემდეგ მეზღვაურმა განაგრძო დაწყებული საუბარი.

— გავიდა რამოდენიმე დღე, მე უკვე შემიძლო თავისუფლად ადგომა, მაგრამ ისევ მოულოდნელად გამომიძახეს დაკითხვაზე აჩიმოვიჩთან. მის ოთახში იჯდა სტანკო. მას მარჯვენა ლოყა დასიებული და დალურჯებული ჰქონდა, ხელები შეკრული ჰქონდა ფოლადის ჯაჭვებით, რომელიც ყოველ მის მოძრაობის დროს მომაკვდინებლად ჟღარუნებდენ ხოლმე. ჩვენი თვალები უმალვე შეხვდენ ერთი-მეორეს და მე შევაჩნიე, რომ მის ჩაღრმავებულ, სევდით სავსე თვალთა უპეებში ჩამქრალიყო ცეცხლის უკანასკნელი ნაპერწკალი.

საპყრობილიდან განთავისუფლებული პოლიტპატიმრები მარჯვენით მიყავთ ჯითელ ფრონტელებს.

— შენ იცნობ ამ კაცს? — შემეკითხა მე აჩიმოვიჩი.

— არ ვიცნობ! — ვუპასუხე დამშვიდებით.

— შენ? — მიუბრუნდა სტანკოს.

— არც მე, არ ვიცნობ, — უპასუხა სტანკომ გადაჭრით.

— ეხლავე ვნახოთ, თუ როგორ გაჩუმდება ბოლშევიკი-გმირი, — დაატანა აჩიმოვიჩმა და ღვარძლიანათ ჩაიცინა.

მე გამიყვანეს მეზობელ ოთახში. ხუთი წუთის შემდეგ მე მომესმა გულშემზარავი ღრიალი... ნაცნობი ხმა აღმოჩნდა... მოისმოდა ყრუ ქვითინი და დარტყმა. ჯალათები სცემდენ სტანკოს. მე-კი, საშინელი ტკივილებით მიცემდა გული. სასწრაფოდ ზეზე წამოვიჭერი და, რადგანაც ხელები შეკრული მქონდა, ფეხებით ვაბრახუნებდი კარებს. ეს იყო ერთად-ერთი და მოსახერხებელი პროტესტი.

მაგრამ მყის გაიღო კარები და მე გვერდით იატაკზე დავეცი. ვეგდე უგრძნობლად და ჩემამდე აღწევდენ გულშემზარავი ნაცნობი ხმები.

ნახევარ საათის შემდეგ მე ხელით გამათრიეს ტალანში, სადაც შევამჩნიე, რომ ორ პოლიციელს მიჰყავდა ცემისაგან გონება-დაკარგული სტანკო, რომელიც სასოწარკვეთით გმინავდა. ის იყო სრულიად უგრძნობლად. იატაკზე მას აქეთ-იქით აკავებდა ორი პოლიციელი, ფეხსაცმელის წვერით მიათრევდენ იატაკზე, რომლებიც გზადა-გზა სტოვებდა დაკვეთილ სისხლის ზოლს. ვინ იცის, თუ რამდენი ასეთი სისხლის ზოლია გავლებული ბალკანეთის საპყრობილეების საკნებსა და დერეფნებში.

ვეება, ლიპიანი ობობა — კაპიტალი ქსოვს თავის ბადეს და ასეთ სისხლიან ძაფებს.

დაკითხვებისა და წამების შემდეგ მე გამიყვანეს აჩიმოვიჩის ოთახიდან მეორე ოთახში, სადაც დამხვდა ერთი ამხანაგთაგანი, რომელიც ასევე შემოეგდოთ ამ ოთახში წამების შემდეგ. გავიდა რამდენიმე დღე. ჩვენ გადაგვიყვანეს წყლით სავსე საკანში. ეს იყო საშინელი, ცივი ჭაობი, სადაც შეუძლებელი იყო სუნთქვა და მუხლების მოკეცვა.

— ბევრი თქვენთაგანი იცნობს ამ პირობებს, — დაატანა მეზღვაურმა. — მეორე დღეს მე მარტოკა დავრჩი. სხვა დანარჩენები სადღაც გააქროლეს. შუა ღამე გადასულიყო. უეცრივ მოისმა საკნის გასაღების ჟღარუნი. კარი გაიღო. რამდენიმე აგენტმა თან შემოიტანეს რაღაც მძიმე და უძრავი. პირველად მე მომეჩვენა, თითქოს ეს გვამი ყოფილიყოს. როცა მივუახლოვდი მას, დავრწმუნდი, რომ ეს გვამი კი არა, სტანკო იყო. ის უგრძნობლად ეგდო. მას მოტეხილი ჰქოხნდა მკლავი და ნეკნები. რამოდენიმე ხნის შემდეგ, როცა ის გონს მოვიდა, შეეცადა ჩემთვის გადმოეცა მომხდარი ამბის შესახებ. ის ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისროდა სიტყვებს, ისე ქანც-მილეული ეგდო, რომ ზოგიერთი სიტყვები კარგად არ ისმოდა. მე მაინც ყველაფერი გავიგე. გავიგე ისიც, რომ ჩვენ დავკარგეთ ამხ. სტანკო; დავრწმუნდი იმაში, რომ ჩვენ სამუდამოდ დავკარგეთ ერთ-ერთი საუკეთესო ჭერქვეშელი.

ხანგრძლივი წვალების შემდეგ მიამბო მან, რომ მას სთხოვდენ დაესახელებია ყველა მისი ამხანაგები, რომლებიც მუშაობენ არალეგალურ პირობებში.

— ისინი ბრიყვები არიან, სისხლით გალეშილი ჯალათები, — ამბობდა სტანკო აკანკალებული ხმით, — ვერ გაუგიათ, რომ არც ერთი ბოლშევიკი, არც ერთი ჭეშმარიტი რევოლიუციონერი არასოდეს არ გასცემს თავის ამხანაგს რა გინდ წამების საზიზღარი მეთოდებით არ დასაჯონ იგი. მათ მიერ შემოღებული ტანჯვა-წამება უძლურია საამისოდ. მათ ასეთი მეთოდებით არ ძალუძთ ჭეშმარიტების აღდგენა არალეგალურად მომუშავე ამხანაგების შესახებ.

მე ვიცი, რომ მუშათა კლასის მოსისხლე ჯალათები ცოცხლად არ დამტოვებენ, მე ვკვდები, დარწმუნებული იმაში, რომ შევასრულე ყველაფერი ის, რის გაკეთებაც

კი შეეძლო ჰეშმარიტ რევოლიუციონერს ჩემს პირობებში. მაგრამ სიკვდილის წინ ვწუხვარ თქვენზე — ახალგაზრდობაზე, რევოლიუციის ავანგარდზე, რომელთა დაღუპვა დიდ უბედურებას მოასწავებს ჩვენი პარტიისა და მუშათა კლასისათვის.

მან შესწყვიტა საუბარი, გული საშინლად უცემდა, მძიმეთ სუნთქავდა. მე ისევ ვსდუმდი, მინდოდა რაღაც მეთქვა, მაგრამ ერთი სიტყვაც არ ამომიღია.

მთელი ღამე ის ბურანში იყო. დილით სიცხემ უმატა, თვალები აუწითლდა და სილრმეში ელავდენ, ვით ჩამქრალი ცეცხლის უკანასკნელი ნაპერწკალი. პირისახე გაუფითრდა. დროგამოშვებით ტუჩებზე გაუელვებდა ხოლმე მწარე ღიმილი.

აღსასრულის ჟამი მოახლოებულიყო.

საღამოთი მოვიდენ ისინი და წაიღეს... ერთხელ კიდევ გადმომხედა მე სტანკომ ნაღვლიანი თვალით და გულამოსკვნით დაატანა:

— მშვიდობით... მშვიდობით... ჩვენს მიერ დაწყებულ საქმეს პროლეტარები დააგვირგვინებენ. კომუნისტი სიკვდილს უშიშრად მიეგებება... სიკვდილი საშიშარი არ არის, პირიქით ბედნიერია ის, ვინც თავის თავს მუშათა კლასის განთავისუფლებას სამსხვერპლოდ შესწირავს.

ის წავიდა ორი პოლიციელის თანხლებით, მას ხელები უკანკალებდა, თავი ძირს ჩაეკიდა... კარები მოიხურეს და მე სრულიად მარტო დავრჩი ოთახში. ისევ გრძელდებოდა მისი წამება. ერთი კვირის შემდეგ დადიოდა ხმები, რომ სტანკო გადაიყვანეს სადღაც სამკურნალოდ, მას მარჯვენა მკლავი და ნეკნები ჩაუნგრიესო.

გავიდა რამოდენიმე დღე და სტანკო ისევ დააბრუნეს საპყრობილე **„გლავნიაჩაში“**.

პირველ მაისის დღეს სტანკოს ისევ დაუწყეს წამება: სცემდენ, გლეჯდენ თმას, ფრჩხილების ძირში უყრიდენ ქინძისთავებს.

მე კი თავი დავაღწიე, გამოვექეცი ჯალათებს, მაგრამ სტანკოს შესახებ ვერა გავიგე რა. მე ის არსად არ შემხვედრია, არც ციხეში, არც თავისუფლებაში, და აი დღეს მე ვნახე გაზეთში... მეზღვაურმა აიღო ის და დაიწყო კითხვა...

— **„ვინ არის სტანკო“?**

ბელგრადში კომუნისტების პროცესის დროს ძალიან ხშირათ გაიგონებდით სტანკოს სახელს, ის უწყალოდ



გერმანიის „წითელ დახმარების“ საზოგადოებამ უდიდესი კამპანია მოაწყო პოლიტ-პატიმართა დასახმარებლად. სურათზე ნაჩვენებია „წითელი დახმარების“ საზოგადოების აქტივისტების მიერ მოწყობილი აგიტ-ინსცენიროვკა პოლიტ-პატიმართა ცხოვრებიდან.

აწამეს საპყრობილე **„გლავნიაჩაში“**. სადაც სისხლისაგან დაიცალა.

სტანკო იყო — **ვლადო ვულჩი.**

რუსეთის ბრწყინვალე მაგალითებმა გააქარწყლეს მასში ყველა ძველი შეხედულებები.

1923 წლის შემოდგომაზე ის ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში და შევიდა წითელ აკადემიაში, მას შემდეგ ის არავის უნახავს. ბელგრადში გრძელდებოდა დაპატიმრებები. უცხოეთის გაზეთები სწერდენ, რომ პოლიციამ ბელგრადის საპყრობილეში მოჰკლა ვიღაც პატიმარი სტანკო. მას მოსტეხეს ხელი, ფეხი, ნეკნები და მან მაინც არ გასცა თავისი ამხანაგებიო.

დაბოლოს გამოირკვა, რომ ამხანაგი სტანკო — **ვლადო ვულჩი** — ხანგრძლივი წამებისა და წვალების შემდეგ გადაისროლეს დუნაის ტალღებში და ეხლა მისი სისხლის ზოლი რეცხავს სერბიის, რუმინეთის და ბულგარეთის მიწის ნაპირებს.

მეზღვაურმა გაზეთი მაგიდაზე დასდო. ადგა, გამოცდილი თვალები გადაავლო ამხანაგებს, ხელში მაგრად დაჭმუჭნა ძველი კეპკა და მტკიცე ხმით დაატანა:

— სტანკო უკვე აღარ არის, მაგრამ სცოცხლობს მომავალი რევოლიუცია.

მ ი რ კ ო.

ტფილისი, 1928 წ. აგვისტო.

ამხ. ლანცუცკის მეორედ დაპატიმრება და განთავისუფლება

პოლონეთის სეიმის დეპუტატი ამხ. ს ტ ა ნ ი ს ლ ა ვ ლ ა ნ ც უ ც კ ი გაანთავისუფლეს აგვისტოს 17, და 21 ისევ დააპატიმრეს და მოათავსეს ვარშავაში, საპატიმრო პავიაკში. უკანასკნელად ის დააპატიმრეს ლოძის პროკურორის ბრძანებით ამ ოთხიოდე წლის უკან ქ. ლოძში წარმოთქმულ სიტყვის გამო.

ლანცუცკის დაპატიმრების ამბავმა დიდი მღელვარება გამოიწვია, როგორც თვით პავიაკის პატიმართა, ისე ვარშავის მრავალრიცხოვან მუშათა წრეებში. აგვისტოს 24 ამხ. ლ ა ნ ც უ ც კ ი გადაიყვანეს მოკოტოვის საპყრობილეში, სადაც მან უახლოეს წარსულში დაამთავრა მისჯილი 4 წელი. საპყრობილე პავიაკში ამხ. ლ ა ნ ც უ ც კ ი ს დაპატიმრებასთან დაკავშირებით პატიმრებმა გამოაცხადეს სიმშილობა.

აგვისტოს 25 ლანცუცკი ისევ გაანთავისუფლეს.

საჭიროა ანტიფაშისტური კონგრესის მოწვევა

საერთაშორისო ფაშიზმი დღითი-დღე აფართოვებს თავის სამოქმედო ტერიტორიას, იჭრება იმ ქვეყნებში, საცა მას დღემდის სრულიად არავითარი გავლენა არ ჰქონია.

ეს შემაძრწუნებელი განვითარება ფაშიზმის შხამისა არის თანამედროვე კაპიტალისტურ წყობილების ლოლიკური შედეგი.

ფაშიზმი, რომელიც ღრმად იკიდებს კაპიტალისტურ წყობილების ნიადაგში თავის ფესვებს, სარგებლობს ბურჟუაზიული ხელისუფლების დიდი დახმარებით, თითქმის ყველა ქვეყნებში. სულ ერთია ოფიციალურია, თუ არაოფიციალური ეს ფაშიზმი, ამას მაინცა და მაინც დიდი მნიშვნელობა არა აქვს ბურჟუაზიული საზოგადოებისა და წყობილების მესვეურთათვის, ისინი აშკარად თუ ფა-

დაპატიმრებული დემონსტრანტები ივრში (პარიზი)

რულად დიდ დახმარებას უწევენ მათ. ცოტათ თუ ბევრად, თითქმის ყველა ქვეყნის ბურჟუაზიული მთავრობები სარგებლობენ ფაშიზმის ბანდებით, ისინი იყენებენ მათ ცოცხალ ძალებს „მშვიდობიანობისა და წესრიგის დასამყარებლად". მიუხედავად იმისა, რომ ისინი ყოველ გზა-ჯვარედინზე სიტყვით უარჰყოფენ ფაშიზმის დახმარებას, მაინც სარგებლობენ ამ უკანასკნელის ტლანქი ძალებით.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ფაშიზმი არსებითად არის ბურჟუაზიის ახალი შეიარაღების ფორმა, რომელიც უნდა ჩაითვალოს ოფიციალურ და ლეგალურ დამატებათ იმ შეიარაღებულ ძალებისა, რომლებიც ერთგულად ემსახურებიან ბურჟუაზიულ წყობილებას.

ფაშიზმი საშუალებას აძლევს მსხვილ ბურჟუაზიას წვრილ ბურჟუაზიულ ფენებზე დაყრდნობით დაიწყოს ძლიერი შეტევები მუშათა კლასის წინააღმდეგ. ფაშიზმი გახლავთ არსებული პოლიციის და ჯარების დამხმარე საშუალება, რომელიც ხელს უწყობს ბურჟუაზიას, რათა ამ უკანასკნელმა ადვილად შესძლოს არსებული წყობილების წონასწორობის შენარჩუნება და მისი განმტკიცება.

ამავე მიზნებს ისახავს და ემსახურება კაპიტალისტურ ქვეყნების სახელმწიფოებრივი აპარატი, რომლებიც წარმოადგენენ შეძლებულ კლასების მფარველ ძალას, რათა მათ შეუნარჩუნონ ერთხელ მოპოებული უპირატესობანი და დაიფარონ მშრომელ მასების ყოველგვარ შემოტევისაგან.

ფაშიზმი არის კონტრ-რევოლიუციონურ ორგანიზაციების ლეგალური კომბინაციათა ფორმა, რომელიც წარმოიშვა მუშათა კლასის რევოლიუციონურ მოძრაობის შემდეგ მიღებულ გამოცდილებების ნიადაგზე ისეთ ხანაში, როცა სახელმწიფოებრივ აპარატს არ შეეძლო წინასწარ აეკრძალა სოციალური მოძრაობები, განირჩევა ჩვეულებრივ რეაქციისაგან თავის მეთოდებით, თავის რეაქციონურ ინტენსივობით, მსხვერპლთა სიმრავლით და სხვა და სხვა. ის ცდილობს შექმნას და ჩამოაყალიბოს ე. წ. წინასწარი კონტრ-რევოლიუცია, უკეთ რომ ვთქვათ, ამრიგად ცდილობს შეაჩეროს კარზე მომდგარი რევოლიუციონური მოძრაობა.

საკმარისია თვალი გადავავლოთ იმ ქვეყნებს, საცა ფაშიზმი გამომჟღავნდა ამა თუ იმ სახით, რათა დავრწმუნდეთ იმაში, რომ ფაშიზმი, რა ჭურჭშიაც არ უნდა იყოს ის გადაცმული, არ წარმოადგენს იტალიის ბურჟუაზიის სპეციფიურ მეთოდს, ან რომელიმე სხვა ქვეყნის ბურჟუაზიის აღმოჩენას, მაგრამ ასეა თუ ისე, მას მაინც დაპყრობილი აქვს მთელი რიგი ბურჟუაზიული ქვეყნები. მთავრობის ფაშიზმი იტალიაში, ესპანეთში (სადაც მძვინვარებს სამხედრო დიქტატურა) წარმოადგენს მხოლოდ ფაშიზმის ერთ-ერთ ფორმას, პორტუგალიაში, ფინლიანდიაში, ბალტიის მხარისა და ბალკანეთის ქვეყნებში. სამხრეთ-ამერიკის ქვეყნებში და ამავე დროს ნახევრად ლეგალური ფაშიზმის, რომელიც თითქოს გაძოყოფილია სახელმწიფოებრივი აპარატისაგან, როგორც მაგალითად ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებში, გერმანიაში, საფრანგეთში, ინგლისში და აგრეთვე „დემოკრატიის კლასიკურ ქვეყნებში", ე. ი. შვეიცარიაში და სკანდინავიის სხვა ქვეყნებში ფაშიზმი ისახავს ერთსა და იმავე მიზანს და ის წარმოადგენს კონტრ-რევოლიუციის უძლიერეს სიმაგრეს.

საკითხავია, ვის ეხმარება და რას აკეთებს მოწინავე ინტელიგენცია მუშათა კლასის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლის ასალაგმავად?

რას უნდა აკეთებდეს ყოველი პატიოსანი ადამიანი იმ მასიურ მკვლელობათა საწინააღმდეგოთ და ფაშისტური ბანდების თარეშის ასალაგმავათ, რომელსაც განზრახული აქვს გაანადგუროს საერთაშორისო მუშათა კლასის რევოლიუციონური მოძრაობა?

საჭიროა ვიყვიროთ, გამოვაჩინოთ მოყენებული იარები, საჭიროა დავთვალოთ მსხვერპლთა სიმრავლე, შევაყენოთ სია იმ უდროოდ დალუპულ გმირთა საფლავებისა, რომლებითაც მოფენილია მთელი სამყარო.

დიახ, ეჭვს გარეშეა, ყოველივე ეს საჭიროა და აუცილებელიც, რაც უნდა შემაძრწუნებელი არ იყოს ეს სინამდვილე, ის ტლანქი ძალა, რომელიც ამოქმედებულია საერთაშორისო მუშათა კლასის რევოლიუციონურ მოძრაობის წინააღმდეგ, შესაძლო არის ბურჟუაზიული უდიდესი მანქანის მოძრაობის შეჩერება, რომელიც მთელი თავისი სიძლიერით მიშვებულია, რათა ფიზიკურად გაანადგუროს მშრომელი კაცობრიობის ის უდიდესი ნაწილი, რომელიც იბრძვის კაცობრიობის კოლექტივიზაციის დასამყარებლად.

ორგანიზაციულად შემოტევას საჭიროა ვუპასუხოთ ორგანიზაციულადვე. საჭიროა ძალთა სიმრავლეს წაუყენოთ შეკავშირებული ძალა. საჭიროა ვიმოქმედოთ კოლექტიურად და გამოვიწვიოთ ფართე საპროტესტო მოძრაობანი, საჭიროა მსოფლიო მასშტაბით ხმა ავიმაღლოთ და ძლიერის ნებისყოფით შევებრძოლოთ საერთაშორისო ფაშიზმს.

ორი წლის უკან ბ ე სათრანგეთის [illegible] ჩენილი მწერლის რ ო მ ე ნ რ ო ლ ა ნ ს ა და მთელ რიგ სხვა საზოგადო მოღვაწეებთან ერთად დაეარსა ა ნ ტ ი ფ ა შ ი ს ტ უ რ ი ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო კ ო მ ი ტ ე ტ ი, რომელმაც მიიმხრო მთელი ქვეყნის ყველა მემარცხენე პარტიის მოღვაწეები, მოწინავე ინტელიგენციის ნაწილი, დემოკრატები და რევოლიუციონერები. მთელი ამ ხნის განმავლობაში ეს კომიტეტი დაუღალავ ბრძოლას აწარმოებდა საერთაშორისო ფაშიზმის სისხლიანი მოღვაწეობის წინააღმდეგ. მაგრამ ეს ძალიან ცოტაა, საჭიროა ვიფიქროთ უფრო გრანდიოზულ გამოსვლების მოწყობაზე, ფაშიზმის წინააღმდეგ განწყობილ ძალთა კონცენტრაციაზე, საერთაშორისო ანტიფაშისტური კონგრესის მოწვევის საშუალებით.

ეს კონგრესი უნდა გახდეს ტრიბუნა, სადაც უნდა გამოვიდეს ყველა ქვეყნის წარმომადგენლები, რომლებმაც უნდა დაწვრილებით აცნობონ მთელს მსოფლიოს თავიანთი ქვეყნების ფაშისტური მოძრაობის მწვავე შედეგები. ეს ამავე დროს უნდა გახდეს საქმიანი მუშაობის ჩამტარებელი ორგანიზაცია, მანვე უნდა შეისწავლოს ყველა საშუალებები, რომლითაც მოსახერხებელი იქნება საერთაშორისო ფაშიზმისა და კაპიტალის პოლიტიკის წინააღმდეგ დიდი წინააღმდეგობის აღმართვა.

ჰ ა ნ რ ი ბ ა რ ბ ი უ ს ს.

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა * ტ ფ ი ლ ი ს ი *

სტეფანე რადიჩი და ხორვატიის ეროვნულ-გლეხური მოძრაობა

მიმდინარე წლის ივნისის 4, ქ. ბელგრადში (სამხრეთ-სლავიის დედაქალაქი) პარლამენტის კრებაზე ერთ-ერთმა ფაშისტების ორგანიზაციის მეთაურმა სერბიელმა დეპუტატმა მოჰკლა ხორვატიის გლეხთა პარტიის ორი დეპუტატი და მძიმედ დასჭრა სამი, მათ შორის ამ პარტიის ბელადი ს ტ ე ფ ა ნ ე რ ა დ ი ჩ ი, რომელიც უკვე გარდაიცვალა აგვისტოს 8 მძიმე ჭრილობისაგან.

ხორვატიის გლეხთა პარტიამ თავის გარშემო შემოიკრიბა თითქმის ხორვატიის მთელი მოსახლეობა. ამ პარტიისაგან, დაბეჩავებული მშრომელი მასები მოელოდენ, რომ ის დაიწყებდა გამათავისუფლებელ მოძრაობას და მასში ჩააბამდა, როგორც თვით ხორვატიის, ისე სხვა სამხრეთ-სლავიის მონობის ქვეშ მყოფ მშრომელ მასებს, მუშებსა და გლეხებს. მათ ეგონათ, რომ ამ მოძრაობას სათავეში მოექცეოდა ს ტ ე ფ ა ნ ე რ ა დ ი ჩ ი.

სტეფანე რადიჩი იყო წარმომადგენელი და იდეოლოგი ნაციონალური ბურჟუაზიისა. ის არ ამწვავებდა მდგომარეობას სერბიის ბურჟუაზიასთან, რომელიც სათავეში ედგა სახელმწიფო მმართველობას.

რადიჩმა მიიღო სამხრეთ-სლავიის კონსტიტუცია, რომელიც უზრუნველჰყოფდა სერბიის ბურჟუაზიის ჰეგემონიას.

კაპიტულიაციამ რ ა დ ი ჩ ი მიიყვანა ფაშიზმსა და ნაციონალურ შევიწროვების გაძლიერებამდე.

უკანასკნელ წლების განმავლობაში რ ა დ ი ჩ ი, დარწმუნდა რა იმაში, რომ მას თანდათან ეკარგება გავლენა ულარიბეს და გლეხთა ფენებში, ისევ ოპოზიციაში ჩადგა. საშინელი სამეურნეო კრიზისის ზეგავლენით მთავრობამ ისევ გააწერა აუტანელი გადასახადები გლეხებზე. უდიდესი სესხი აიღო ინგლისიდან, რომელმაც სამხრეთ-სლავია გადააქცია ინგლისის კოლონიათ, პირობით შეეკრა იტალიას, რომელიც გამანადგურებლად მოქმედობს ხორვატელებსა და სლავიანელებზე. რ ა დ ი ჩ ი ლამობდა ასეთი მდგომარეობიდან სასარგებლო ატმოსფერა შეექმნა ხორვატიის ბურჟუაზიისათვის, მაგრამ სერბიის ფა-



ომის საწინააღმდეგო მიტინგი პარიზის ცირკში.

ბისტური წრეები არ ჰფიქრობენ რაიმე დათმობაზე წასვლას; რადიჩთან ერთად 4 სხვა დეპუტატი დაეცა პარლამენტში. ეს საზიზღარი მკვლელობა უშიშრად ჩაიდინეს მეფის მფარველობის ქვეშ მყოფმა ფაშისტურმა ბანდებმა.

მაშინ, როცა რადიჩის პარტიის ბურჟუაზიული ბელადები განაგრძობდენ პარლამენტარულ ბრძოლას, მომხდარ საზიზღარ ამბის შემდეგაც-კი, მუშათა ფართე მასები პროტესტებით გამოვიდენ ქუჩებში და პირისპირ შეებენ პოლიციელებს. ივნისის 20 — 21 და 22 სისხლიანი შეტაკებები სწარმოებდა ზაგრებას ქუჩებში. დემონსტრაციის მონაწილეებიდან მოკლულია 3, დაჭრილთა რაოდენობა 100 აღწევს.

ხორვატელ ჟანდარმების უმრავლესობამ უარი განაცხადა ბრძანების ასრულებაზე. 60 კაცმა სამუდამოთ უარი განაცხადა სამსახურზე. სადგურის პირდაპირ მდებარე ჯარის-კაცთა ყაზარმების ირგვლივ შემოვლებულ ღობეებიდან ჯარის-კაცები თოფებს აძლედენ დემონსტრაციის მონაწილეებს, რომლებიც ჯგუფ-ჯგუფად მიიმართებოდენ ყაზარმების გასწვრივ. უფროსთა შემადგენლობამ, შეამჩნია რა ჯარის-კაცთა შორის ასეთი რევოლიუციონური განწყობილება, ბრძანება გასცა დაუყოვნებლივ ჩამოერთმიათ იარაღი ჯარის-კაცებისათვის.

რევოლიუციონურ პროფკავშირების ხელმძღვანელობით გამოვიდა მჭიდროდ დარაზმული მუშათა კლასი, რომელიც გადაჭრით მოითხოვდა სახელმწიფოს დაცვის შე-

სტეფანე რადიჩი ხორვატიის ბლეხთა შორის

გამოჩნდა თუ არა პირველი დემონსტრაცია ზაგრებას მთავარ ქუჩაზე, პოლიციელებმა სროლა აუტეხეს დემონსტრაციის მონაწილეებს. გონება დაკარგული ხალხი აქეთ-იქით გარბოდა, ზოგი მოსახვევებში აფარებდა თავს, ზოგი ეზოებში და ზოგი კიდევ ვინ იცის სად. როცა ოდნავ სიწყნარე ჩამოვარდებოდა, დემონსტრანტები ისევ გამოყოფდენ თავს, რათა ხელახლა მოეწყოთ ქუჩებში მანიფესტაციები, და ისევ შეტაკებოდენ პოლიციელებს.

მასებისათვის ეს ბრძოლა იყო გამანთავისუფლებელი ბრძოლის დასაწყისი. ჯარში დღითი-დღე ფეხს იკიდებდა საომარი განწყობილება. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ გამანთავისუფლებელ მოძრაობას ოდნავი თანაგრძნობით მოეპყრა პოლიციის ერთი ნაწილიც-კი.

სახებ არსებულ წესების მოხსნას, ბლეხებზე მიწის გადაცემას, ფეოდალურ ნაშთების უარყოფას და მემამულეთა წყობილების ძირიან-ფესვიანათ აღმოფხვრას, ქვეყნის ყველა დამონავებულ-დაბეჩავებულთა სრულიად განთავისუფლებას. არალეგალურად მომუშავე კომპარტია ხალხს მოუწოდებდა გაერთიანებულ ძალღონით გადამწყვეტათ ემოქმედა საბოლოო განთავისუფლების მოსაპოვებლად. ამ მოთხოვნილებებს ხელისუფლებამ უპასუხა 75 რევოლიუციონერ პროფკავშირელთა დაპატიმრებით.

მშრომელი მოსახლეობა, როგორც თვით ხორვატელები, ისე სხვა დანარჩენები, დღითი-დღე რწმუნდებიან, რომ მათი განთავისუფლება მხოლოდ მათი საქმეა.

დრაგაჩევაცი.

ამხ. ბელა კუნი მოსკოვში

ვენის საპყრობილეში ხანგრძლივი პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ, მიმდინარე წლის აგვისტოს პირველს ქ. მოსკოვში ჩამოვიდა ამხ. ბ ე ლ ა კ უ ნ ი.

სადგურში მატარებლის მოსვლამდე დიდი ხნით ადრე თავი მოეყარა მოსკოვის პროლეტარიატს. აქვე იყვნენ: პოლიტ-ემიგრანტები, რემედასის წარმომადგენლები და პიონერები, თავიანთი დროშებით. ყველა ისინი მოსულიყვნენ ამხ. ბ ე ლ ა კ უ ნ ი ს საპატივცემლოდ.

ბაქანზე ამხ. ბ ე ლ ა კ უ ნ ი ს გამოჩენამ უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია და ხალხი შეეგება მას „ვაშა"-ს ძახილით...

ამხ. ბ ე ლ ა კ უ ნ ი შესამჩნევად აღელვებული იყო. ის მოემწყვდა მის გარშემო შეჯგუფულ ხალხის წრეში... ამხანაგების მისასალმებელ სიტყვის შემდეგ ამხ. ბ ე ლ ა კ უ ნ მ ა წარმოსთქვა მოკლე სიტყვა.

მან მხურვალე მადლობა შესწირა მოსკოვის პროლეტარიატს ძმური მიღებისათვის და მოუწოდა მათ, რათა ყოველთვის იზრუნონ ბურჟუაზიულ ქვეყნების ციხეებში მოქცეულ პატიმრების მძიმე პირობების შესამსუბუქებლად.

— ამხანაგებო. — ამბობს ის, — თქვენ დიდი შრომა დახარჯეთ ჩემ დასახსნელად. თქვენ აგამოქმედათ ჩემი ცხოვრების ერთ-ერთმა ეპიზოდმა, მაგრამ ჩემი თხოვნა იქნება თქვენდამი, იზრუნოთ არა ჩემზე, არამედ იმ ამხანაგებზე, რომლებსაც იტალიის სასამართლოს პროცესებზე მიესაჯათ საუკუნო კატორღა. იზრუნეთ იმათი მძიმე ხვედრის შესამსუბუქებლად, რომლებიც იტანჯებიან შორეულ კუნძულებზე გადასახლების მძიმე პირობებში. გახსოვდეთ ვენგრიელი, ავსტრიელი, ჩინელი და სხვ. ამხანაგები, რომლებიც თავგამოდებით იბრძვიან თავისუფლების მოსაპოვებლად რეაქციის მძიმე პირობებში.

თქვენ ვალდებული ხართ გაანთავისუფლოთ ისინი, ისე როგორც მე გამანთავისუფლეთ და მომანიჭეთ თავისუფლება. მე სხვა არაფერი არ შემიძლია დაგპირდეთ, გარდა იმისა, რომ მუდამ მზად ვიქნები ვიბრძოლო ისე თავგანწირვით, როგორც ვიბრძოდი დღემ-

ამხ. ბელა კუნი

დის. მე მუდამ ერთგული დარაჯი ვიქნები საერთაშორისო პროლეტარიატის და ვეცდები ჩემს პარტიასთან ერთად ვიბრძოლო უკანასკნელ სისხლის წვეთამდე.

საკო და ვანცეტი

მიმდინარე წლის აგვისტოს 23, ერთი წელი შესრულდა საკოსა და ვანცეტის წამების შემდეგ. რევოლიუციონურ მუშათა კლასის მოძრაობაში ამ ორი სრულიად უდანაშაულო მუშის წამება უნდა ჩაითვალოს ბურჟუაზიულ ჯალათების უსაზიზღრეს შურისძიების აქტათ.

მეწაღე საკომ და თევზის დამტარებელმა ვანცეტიმ სამართლიანად მოიხვეჭა საერთაშორისო სახელი. მათმა პროცესმა გამოიწვია საერთაშორისო მუშათა კლასის ძლიერი პროტესტი. სამხრეთ ბრეინტში მეარტელების მკვლელობაში მონაწილეობის მიღებისათვის მათ ბრალს სდებდა მასაჩუზეტის სასამართლო.

საქმის მთელი მდგომარეობა ნათლად ადასტურებდა იმას, რომ საკოსა და ვანცეტს არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ. კიდევ მეტი, ვიღაც ცელესტინო მაიდეროსი გამოტყდა იმაში, რომ ის მონაწილეობას იღებდა ზემო აღნიშნულ მკვლელობაში და მოიყვანა აუარებელი მაგალითები იმის შესახებ, რომ საკო და ვანცეტი სრულიად უდანაშაულონი არიან. მაგრამ ბურჟვაზიულ სასამართლოსათვის საჭირო იყო ორივე რევოლიუციონერი მოესპო, რომლებსაც საკმაოდ ძლიერი პოპულიარობა ჰქონდათ მოპოებული მასაჩუზეტის მუშებში.

მთელი 7 წლის განმავლობაში მზადდებოდა ეს საზიზღარი მკვლელობა. მძიმე ტანჯვითა და ვაებით სავსე 7 წელი გაატარეს საკო და ვანცეტიმ დედხემის ციხეში სიკვდილის მოლოდინში. მთელი ამ ხნის განმავლობაში მშრომელი კაცობრიობის საუკეთესო ნაწილი იბრძოდა ამ ორი გმირის სიცოცხლის შესანარჩუნებლად. ერთად რომ თავი მოუყაროთ ყველა ამ საპროტესტო აქტებს და რეზოლიუციებს, რომელიც საერთაშორისო მუშათა კლასმა გამოიტანა ამ შვიდი წლის განმავლობაში საკოსა და ვანცეტის პროცესის გამო ის შეავსებს მრავალ ტომებს.

განსაკუთრებით საყურადღებოა ის უჩვეულო საერთაშორისო პროტესტი, რომელიც მოაწყო მუშათა კლასმა ამ ორი გმირის წამების უკანასკნელ დღეებში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ არ დარჩენილა ისეთი ქვეყანა, სადაც მუშებსა და გლეხებს არ მოეწყოთ ძლიერი პროტესტი ამ საზიზღარი მკვლელობის წინააღმდეგ. დედამიწის ყველა კუთხეებში მუშათა კლასი მოითხოვდა სასიკვდილოთ განწირულ ამხანაგების დაუყონებლივ განთავისუფლებას... მაგრამ გუბერნატორმა ფულერმა დაასრულა ამერიკის სასამართლოს ჯალათების მიერ დაწყებული საზიზღარი საქმე: საკო და ვანცეტის პატიების შესახებ წარდგენილი პეტიცია, უარყოფილ იქნა. ამრიგად აგვისტოს 23, ეს ორი გმირი სრულიად დარწმუნებული თავიანთი მიზნების ჭეშმარიტებაში, რევოლიუციონური მოვალეობის შეგნებით დამშვიდებულნი მივიდენ ელექტრონის სავარძელთან და სამუდამოთ განუტევეს სული.

რლვევის მოლოდინში

შეხედეთ, გრიგალი გრიგალზე ასკდება,
მთა ამბობს სიმღერას, გულებათ ამდგარი.
ჰაერი ცხელია, ხანძარიც გაჩნდება,
მე მჯერა, რომ ცეცხლი ჩამქრალი არ არი.
ქვეყანა, ყორნების საკორტნად აგდია,
ღმუიან ხრამები, ელვებით დაჭრილი.
უშიშრად წამოდგეს, ვისაც კი სწადია —
იხილოს მზის შუქი, მიწაზე დაღვრილი.

ბ ო ლ ი ო ა ბ რ ა მ ი ა

ბრძოლის სურათები

(1905 წ. ამბებიდან).

მზე ჩავიდა და სანაპირო ქალაქში სანათურები აანთეს.

ფართე ქუჩებში გამართულსა და გაჩირაღდნებულ საკაჭროებს მაღლიდან შემობურვოდა გაზაფხულის მუქი ღამე.

თბილოდა, არ ჰქროდა ქარი და მოქალაქენი გამოსულიყვნენ სასეირნოთ.

საგაზაფხულოდ ჩაცმული მამაკაცები და დედაკაცები, ხნიერნი და ახალგაზრდანი ნელის ტაატით მიდიოდენ ფართე ფილაქანზე და ეწეოდენ ბხურვალე საუბარს.

ისმოდა ოხუნჯობა და ნელი სიცილი.

ქუჩაში გრიალით მიჰქროდენ ეტლები, სადაც უდარლად ისხდენ ბრჭვიალა ეპოლეტიანი მამაკაცები და სამოქალაქო სამსახურის მოხელენი თავის მანდილოსნებით.

ხანდაზმით კი, როდესაც ეტლები მიწყნარდებოდენ, სანაპირო ქალაქის ქუჩებში ისმოდა ზღვის მინაზებული ქშენა, რასაც თან ერთოდა შორეული მუსიკის ბგერები.

მდაბიო მოქალაქენი ყურს უგდებდენ მუსიკის ხმებს და ყველამ იცოდა, რომ ამ საღამოს ნავთსადგურში, დიდ გემზე გამართულია ბრწყინვალე ნადიმი და ნადიმზე მიწვეულია ბრწყინვალე საზოგადოება.

ამიტომ ეტლები ერთმანეთს მისდევდენ ნავთსადგურისაკენ.

ვნახოთ, ქუჩაში მდგომი ჩაფარი წელში გასწორდა და მკერდი მონდომებით ამოზნიქა; ის ძეგლივით გამართული შესდგა შუა ქუჩაში და თვალს არ აშორებდა თეთრ ცხენებიან ეტლს, რომელიც შესახვევიდან მალიად გამოკრთა და ქუჩაში გამოემართა.

მოსეირნენიც შესდგნენ და ცნობის მოყვარეობით დაუწყეს ჭვრეტა ეტლს.

ეტლი მოახლოვდა.

შიგ იჯდა პოლიციის უფროსი; ჩაფარმა მას სამხედრო სალამი მისცა, მაგრამ მრისხანე უფროსს ყურადღება არ მიუქცევია ჩაფარისათვის და ეტლი სწრაფად გაშორდა იქაურობას.

ყველამ თვალი გააყოლა ეტლს.

ყველა თავისას ფიქრობდა ამ დროს და რადგან პოლიციის უფროსი იყო ბოროტი და მრისხანე კაცი, ამიტომ მოსეირნენი თავის გონებაში, როგორც შეეძლოთ ლანძავდენ და კიდეც ემუქრებოდენ მას.

მაგრამ ეტლი მიჰქროდა და ქვით მოკირწყლულ ქუჩაში, თეთრ ცხენების ნალების რეკა თანისთან, მაგრამ ისევ წყნარად მოისმოდა.

უეცრად ეტლი შორს შესდგა და ხელათვე გაისმა რევოლვერის ხმა—ერთი, ორი, სამი! რევოლვერის ხმაზე ხალხმა ხმა გაკმინდა, მაგრამ უეცრადვე, თითქო გონს მოკიდაო, ამოძრავდა.

ჩაფართმა დაუსტვინა და გაიქცა. სხვებიც გაიქცნენ.

მთელი ქუჩა ხალხით გაივსო და ხალხი მირბოდა იქით, სად ამას წინათ რევოლვერი ისროლეს და სადაც ეხლა იდგა ეტლი.

*

მალე ჩაფრებმაც დაუსტვინეს ასტეხეს განგაში და ისევ გაისმა სროლა.

მკვლელს დაგდევნენ. სროლა გახშირდა.

სროლაზე ხალხი დაფრთხა და დაიხია უკან, შემდეგ ხალხი გაიქცა და მახლობელ ეზოებში მიმოიფანტა.

დაცარიელდა ქუჩები. ვაჭრებმა დუქნები სასწრაფოდ დაჰკეტეს. ეტლები არ მოძრაობდა და მთელი ქალაქი შეიპყრო მოულოდნელმა შიშმა.

იცოდენ მხოლოდ: პოლიციის უფროსი მოჰლეს, ხოლო ვინ მოჰკლა, ეს არავინ იცოდა.

„ბურჟუაზიულ სამოთხეში“

პოლიციის უფროსის ეტლი კი, ისევ ქუჩაში იდგა და იქავე ეგდო მოკლული უფროსი.

მას შუბლიდან სისხლი გადმონთხეოდა, თეთრი კიტელი სისხლში მოსროდა და ასე, სისხლში მოსვრილი, ეგდო ის ქუჩაში.

ისევ ისპოდა სროლა. სროლა ისმოდა ეხლა შორიდან და ძალიან სუსტად: მერე ისიც მიწყნარდა. ამ დროს ეტლთან მოგროვდენ სამხედრო პირები, მოვიდა ექიმიც და მოკლული პოლიციის უფროსი, მისივე ეტლით წაიღეს ბინაზე.



„კლასთა ბრძოლისათვის პატიმართა დამხმარე ორგანიზაციამ“ ინგლისში დაიწყო ენერგიული მუშაობა პოლიტ-პატიმართა განსათავისუფლებლად. სურათზე ნაჩვენებია მიტინგი, რომელიც მოწვეული იყო აღნიშნული კამპანიის ჩასატარებლად თანხების შეგროვების მიზნით.

*

გაჩერდი, თორემ გესვრი!

დაგვნებდი, თორემ მოგკლავ!—

მისძახოდენ და კვალდაკვალ მისდევდენ ჩაფრები მამაკაცის ჩრდილს. მამაკაცი მირბოდა. ჩაფრები ესროდენ, მაგრამ მირბოდა ისევ უვნებელი მამაკაცი და ჩაფრები კვლავ მისდევენ მას.

აი, გაქცეულმა ერთ ბნელ ქუჩაში შეუხვია; ის თვალს იმახვილებს და დაეძებს რამე თავშესაფარს, რომ ჩაფრებს ხელიდან გაუსხლტეს, მაგრამ ქუჩაში სანუგეშო არაფერი სჩანს. ის გარბის;

ხელში მსუბუქად დაუჭრიათ და სისხლი სდის, მაგრამ ამას ვერ ამჩნევს, მხოლოდ მუხლებში ღონე აკლდება და თანისთან სუსტდება.

ის უეცრად შემობრუნდა და დადევნებულ ჩაფრებს რევოლვერი მიახალა. შემდეგ უფრო მხნედ განაგრძო სირბილი, რადგან რევოლვერის გასროლაზე, ჩაფრებში ერთმა დაიღრიალა და წაიქცა. უთუოდ, დაჭრილ ჩაფარს სხვები მიეშველებიან და გამქცევიც დროს მოიგებს, მაგრამ არა! გაქცეული გრძნობს, რომ ისევ მისდევენ, რომ ბევრნი არიან და მათი ფეხის ხმა სულ ახლოს ისმის.

ამ მოვლენამ უზომოდ დააღონა გამქცევი. მას ბევრი აზრი უტრიალებს თავში და ერთი მთავარი აზრი ის არის, რომ ცოცხალი არავის დანებდეს.

და თუ საქმე გაჭირდა—რევოლვერში ეგულება ტყვიები, მაგრამ ჯერ კი არა, ჯერ ისევ მირბის და ჩაფრების გროვა ისევ მოსდევ მუქარით.

უეცრად შორიდან, მას წინ გადაეღობენ და დაუყვირეს:

— გაჩერდი, ხელები მაღლა!—

გაქცეული წუთით შეკრთა, არ იცოდა რა ექნა უკან დახევა არ იქნებოდა, მოსდევდენ, ხოლო წინ გადაეღობენ.

მაშინ მან ისევ გაისროლა რევოლვერი, მაგრამ მასაც ესროლეს და ის, სძიმედ დაჭრილი დაეცა.

*

პოლიციის უფროსის მკვლელობის შემდეგ ქალაქში სამხედრო მდგომარეობა გამოცხადდა. ნაშუადღევის ექვსზე წყდებოდა ყოველგვარი მოძრაობა და ქუჩებში მხოლოდ ყაზახთა და შეიარაღებულ ჩაფართა რაზმები დადიოდა.

ეს რაზმები განსაკუთრებით ზვერავდა მუშათა უბნებს, მაგრამ ამ უბნებში ყველაფერი თითქოს რიგზე იყო და საეჭვო არაფერი ხდებოდა.

ერთხელ, როდესაც ღამე გადავიდა და ოდნავ ინათლა, მუშების უბნის ქუჩებში ჩაატარეს პოლიციის უფროსის მკვლელი.

მას მისდევდა გაძლიერებული ცხენოსანთა რაზმი

რაზმი ცდილობდა ქუჩებში უხმაუროდ ევლო.

რაზმის შუაგულ, ფეხით მიდიოდა ტუსაღი, რომელიც მძიმე ჭრილობისაგან მორჩენილი არ იყო და ძალიან დასუსტებული, ოდნავ ადგამდა ნაბიჯებს.

რაზმი მალე გასცდა სახიფათო უბანს, ქალაქ გარედ გავიდა და პოლიციის უფროსის მკვლელი დახვრეტილ იქნა.

*

მართალია, დახვრეტის დროს რაზმმა თოფები გაისროლა, მაგრამ მუშათა უბანში ხმა არავის გაუგია, ამიტომ იფიქრეს: იქნებ არც გაუგონიათო.

მიუხედავად ამისა ისევ სამხედრო მდგომარეობა იყო და ექვსი საათის შემდეგ ქალაქში მოძრაობა სწყდებოდა.

მოახლოვდა პირველი მაისი.

სანაპირო ქალაქში გამრავლდა ყაზახდა ჯარები.

მოქალაქენი დიდ ამბებს ელოდენ, გარეგნულად ქალაქში სიმშვიდე იყო და მღელვარება არ სჩანდა.

*

წუხელის მთელი ღამე არ სძინებიათ პოლიციის მოხელეებსა და ყაზახთა ჯარებს. დააქროლებდენ ცხენებს, ვილაცებს სდევნიდენ, ვილაცებს დაეძებდენ.

ისმოდა აგრეთვე სროლა.

მალე გათენდა დილა მაისის. ცას გაევლო ალის ფერადები და ღრუბლებში მზემ თვალი გაახილა.

მალე მუშათა უბნებში გამოჩნდენ მუშები. ისინი ბევრნი იყვნენ და ჯგუფ-ჯგუფად მიემართებოდენ ქალაქ გარედ. გავიდენ მინდორზე და მოგროვდენ იქ, სადაც სამი დღის უკან დახვრიტეს პოლიციის უფროსის მკვლელი.

დახვრეტილის საფლავი ყვავილებით მოერთოთ და ზედ წითელი დროშა აეფრიალებიათ.

ურიცხვი იყვნენ მუშები.

ისინი მტკიცე სახით იდგენ და უსმენდნენ ორატორებს; უსმენდენ და მათი გადაწყვეტილება იყო შურისძიება, ბრძოლა და გამარჯვება.

უეცრად უკანა რიგებში ჩოჩქოლი ატყდა.

უეცრად უკანა რიგები აირია. მდგომარე მუშების გასწვრივ გამოჩნდა ყაზახთა რაზმი.

რაზმი ცხენებს მიაქროლებდა, ჰაერში მათრახს იქნევდა და ბევრ მათგანს თოფიც გადმოელო.

მუშებმაც იშიშვლეს იარაღი.

მუშები მინდორზე დალაგდენ და ატყდა სროლა.

ამ დროს სანაპირო ქალაქს სული გაეკმიდა და შეშინებული ისმენდა ბრძოლის ხმებს.

დაღამდა.

ბრძოლა შესწყდა და დამარცხებულმა ყაზახებმა დასტოვეს ბრძოლის მოედანი. მაშინ მუშებმაც დასტოვეს.

მუშებიც გაეცალენ იქაურობას, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ ძალ-ღონე მოეკრიფათ და უკანასკნელად შებმოდენ თავისუფლების მტრებს.

სტეფანე კასრაძე

სიმშილობა 40 დღის განმავლობაში

გლავზენბურგში რამდენიმე კვირის უკან 13 პოლიტ-პატიმარმა გამოაცხადა სიმშილობა, რომელიც დღემდე გრძელდება. პატიმრები თხოულობდენ ციხიდან განთავისუფლებას, ვინაიდან ისინი დამნაშავედ არ სცნობდენ თავს.

რუმინეთის უნიტარულ პროფკავშირების ორგანოს „ვიაცა მუნჩიტორე"-ს მთავარი რედაქტორი ამხ. სტეფან ფორიშ უკვე 40 დღეა, რაც სიმშილობს. მისი ჯანმრთელობა მეტად ცუდ პირობებშია. უკანასკნელ კვირის განმავლობაში ის სრულიად უგრძნობლად წევს ციხის საკანში.

მაშინ, როცა ჩვენ ამ სტრიქონებს ვწერთ, შეიძლება ის ცოცხალი არც კი იყოს.. ჩვენ დარწმუნებული ვართ მისი წერილი მშრომელ მასებისათვის ინტერეს მოკლებული არ იქნება, ამიტომ ვაქვეყნებთ მისი წერილის ნაწყვეტს. აი, რას იწერება ის სიმშილობის მე-27 დღეს:

„მიმდინარე წლის აპრილის 25-ს მე დამკითხა მეფის კომისარმა მანცუმ. ამასთანავე გამოირკვა, რომ ყველა ის ბრალდებები, რომლებიც სიგურიანცამ შეხანხლა ჩემს წინააღმდეგ, სრულიად უსაფუძვლონი აღმოჩნდენ. მიუხედავად ამისა, მე მაინც არ გამანთავისუფლეს. სამხედრო ტრიბუნალმა მოიმიზეზა, თითქოს ჩემი საქმის ირგვლივ კიდევ უნდა დაეკითხათ ორი მუშა. ეს მუშები უკვე შეპყრობილი იყვნენ სიგურიანცას მიერ და, მიუხედავად მრავალჯერ წარმოებულ დაკითხვისა, მაინც ხელმოსაკიდი საბუთის შეთხზვა ვერ მოახერხეს ჩემს საწინააღმდეგოდ.

დღეს მე უკვე მე-27 დღეა, რაც ვშიმშილობ. ჩემი დაპატიმრება და ამდენი ხნის შეუწყვეტელი ტანჯვა-წამება, ისე როგორც ეს საერთოდ ხდება ხოლმე, წარმოადგენს ქვეყნის კონსტიტუციისა და კანონის აშკარა დარღვევას. მე სიმშილობაზე უარს არ განვაცხადებ სრულ განთავისუფლებამდე, ან სიკვდილამდე. მე ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს შეუდრეკელ ბრძოლას მხარს დაუჭერს მთელი ქვეყნის მუშათა კლასი და ყოველი პატიოსანი შრომის მოყვარე ადამიანი".

ასე სწერდა ამხ. ფორში სიმშილობის გამოცხადების მე-27 დღეს.

დაკითხვის მეთოდები

„რამდენიმე კვირის უკან ვარშავის დეფენზივას უფროსმა, კომისარმა, სუხამნეკმა ისევ შემოიღო პოლიტიკურ პატიმართა დაკითხვის დროს ცემა-წამებაო, — იწერებიან პოლონეთიდან. — ახლო წარსულში გამოქვეყნებულ ცნობებს ჩვენ კიდევ უნდა დაუმატოთ ახალი ცნობები საშინელი მხეცური მოპყრობის გამო, რასაც ადგილი ჰქონდა ვარშავის საპყრობილეში ერთ-ერთ მუშის დაკითხვის დროს.

საქმე შემდეგშია: ახლო წარსულში დეფენზივაში მოიყვანეს 19 წლის ახალგაზრდა მუშა, ვილაც, ტადაია და შეუდგენ მის წამებას საჭირო ცნობების გამოკითხვის მიზნით. ცემის დროს მან მორთო გულშემზარავი ღრიალი, რომელსაც გამოეხმაურენ მეზობელ საკნებში მოქცეული პოლიტ-პატიმრები, უკანასკნელებმა პროტესტის ნიშნად კარს დაუწყეს ნგრევა. „დაკითხვა" შეაჩერეს, მაგრამ აგენტები შეუდგენ ჯალათურ მოვალეობის ასრულებას. მათ მოისურვეს შური ეძიათ და ამ მიზნით, ვითომ დასაკითხავად პატიმარს იხმობდენ საკნიდან, ტადია არ დაემორჩილა ჯალათების ბრძანებას და დაკითხვაზე უარი განაცხადა.

მეორე დილით ის ისევ გამოიძახეს, პატიმარმა ისევ უარი განაცხადა მაგრამ ის ძალით შეათრიეს სარდაფში, საიდანაც არავითარი ხმა არ გამოვიდოდა და ისე უწყალოდ სცემეს იგი, რომ ციხეში დაბრუნების შემდეგ მას სხეულზე აღმოაჩნდა აუარებელი იარები და უგრძნობლად ნარზიე დაეშვა.

მისაბაძი რაიკომი

(ქუთაისის რკინის გზის რემედასის რაიკომის მუშაობა).

რემედასის ორგანიზაციების ჩამოყალიბებას საქართველოში აღფრთოვანებით შეეგება ქუთაისის რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა დიდი უმრავლესობა.

ადგილობრივად რემედასის ორგანიზაციის ჩამოყალიბებიდან ამხანაგები აქტიურ მონაწილეობას იღებენ, როგორც პოლიტ-პატიმართა უზრუნველსაყოფად დახმარების შეკრებაში, ისე მშრომელთა ფართე მასების ინტერნაციონალურად აღზრდაში.

რემედასის ქუთაისის რკინის გზის რაიკომის სამაგალითო მუშაობა იქიდანაც სჩანს, რომ ადგილობრივად ჩატარებულ კონკურსის დროს, როგორც საუკეთესოდ მომუშავე რაიკომს პირველი ადგილი დაეთმო რემედასის რკინის გზის რაიკომს. ქუთაისის რკინის გზის რაიკომის თაოსნობით ჩამოყალიბდა რემედასის ახალი უჯრედები შემდეგ ადგილებში:

სადგურ რიონში, გელათში, სვირში, აჯამეთსა და ხრესილში, რომლებშიაც გარდა რკინის გზის მუშა-მოსამსახურეებისა ჩაბმულნი არიან ადგილობრივი გლეხკაცობა და მოსწავლე ახალგაზრდობა. ამავე დროს აღსანიშნავია, ის გარემოება, რომ ადგილობრივი ამხანაგების დაუღალავი მუშაობით საგრძნობლად გიაზარდა რემედასის წევრთა შემადგენლობა. გაუმჯობესებულია აგრეთვე კაპიტალის პატიმართა დასახმარებლად სხვადასხვა სახის შემოწირულებათა შეგროვება.

ამ მიზნით გამართულ იქნა ფასიანი საღამო, მოეწყო ლატარია, სწარმოებს ნება-ყოფლობით შემოწირულებათა აკრეფა და სხვადასხვა. რაიკომში ირიცხება სულ 1.013 წევრი; ერთი წლის განმავლობაში შეგროვილია 927 მან. და 90 კაპ.

კულტურული მუშაობა რემედასის წევრთა შორის სათანადო დონეზე სდგას. ადგილობრივად ყველა კედლის გაზეთებში გამოყოფილია რემედასის კუთხე, სადაც სისტემატიურად შუქდება რემედასის ადგილობრივი ორგანიზაციების, როგორც მოღვაწეობა, ისე მომავალი სამოქმედო გეგმა და სხვ.

უჯრედებთან ყველგან მოწყობილია რემედასის კუთხე სათანადო ლიტერატურით. ჩამოყალიბებულია აგრეთვე რემედასის წრე, რომელიც სისტემატიურად აწარმოებს მეცადინეობას ორკვირაში ერთხელ. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა წევრთა ინტერნაციონალურად აღზრდას, ამ მიზნით ხშირად ეწყობა კრებები, და საუბრები სხვადასხვა საკითხების ირგვლივ.

აღსანიშნავია ისიც, რომ რემედასის გამოცემათა გასავრცელებლად ჩატარებულ იქნა სპეციალური კამპანია, ამრიგად ჟურნალ „რ ე მ ე დ ა ს"-ზე რაიკომის მასშტაბით შეგროვილია ასი წლიური ხელისმომწერი.

ურიგო არ იქნება რემედასის სხვა ორგანიზაცია-უჯრედებიც მიჰბაძავდენ რემედასის ქუთაისის რკინის გზის რაიკომის მაგალითს და ხელს შეუწყობდენ ჟურნალ „რ ე მ ე დ ა ს ი"-ს გავრცელებას.

ა. კ — ი.

როგორ ტარდება ადგილებზე რემედასის მე-2-ე ყრილობის დადგენილებები

(წერილი ზუგდიდიდან).

რემედასის საქ. მეორე ყრილობამ ჯამი გაუკეთა თავის მუშაობას პირველიდან მეორე ყრილობამდე, მან დაამუშავა ყველა ის საკითხები, რომელთა ცხოვრებაში გატარება აუცილებლად საჭირო იყო ჩვენი ორგანიზაციის მუშაობის წარმატებისათვის. ყრილობამ ამავე დროს მიზნად დაისახა მუშაობის ახალი მეთოდების შემოღება.

მეორე ყრილობამდე ჩვენს ორგანიზაციებს ზუგდიდის მაზრაში მრავალი ნაკლი ჰქონდა. ამის გამოსასწორებლად ყრილობის დამთავრების შემდეგ ზუგდიდის სამაზრკომმა დაამუშავა მუშაობის ახალი გეგმა და გადაუგზავნა ადგილებს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამის შემდეგ მუშაობას დაეტყო ოდნავი გამოცოცხლება.

თუ კი რემედასის მეორე ყრილობამდე არ სწარმოებდა გეგმიანი მუშაობა, დღეს ეს ნაკლი გამოსწორებულია და მთელს მაზრაში შეძლებისადაგვარად ტარდება მოხსენება-საუბრები რემედასის ორგანიზაციების მუშაობისა და საერთოდ რემედასის საერთაშორისო მნიშვნელობის შესახებ. ამავე დროს მაზრის მასშტაბით ტარდება რემედასის ერთიანი დღე.

უნდა აღვნიშნოთ, რომ საშეფო მუშაობის დარგში ორგანიზაციებს ეტყობათ გამოცოცხლება წინანდელთან შედარებით. მიმდინარე წლის ივნისის განმავლობაში სამაზრო კომიტეტმა მაზრის მასშტაბით მოაწყო რემედასის სამი კუთხე. სადაც მუშაობა დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს; კუთხეებისათვის შეძენილია სხვადასხვა პლაკატები და ლოზუნგები.

უნდა აღვნიშნოთ, რომ უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გამოცოცხლდა პარტიის ხელმძღვანელობა. ხშირია შემთხვევა, როცა რემედასის ორგანიზაციის სხდომებს ესწრებიან პარტიული ამხანაგები და აძლევენ საქმიან და პრაქტიკულ მითითებებს. რაც შეეხება კომკავშირის მონაწილეობას, სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს,

რომ ის ძლიერ მოიკოჭლებს. კომკავშირი ვერ აქცევს საათანადო ყურადღებას რემედასის მუშაობას.

მიუხედავად იმისა, რომ საქ. კომკავშირის მე-9 ყრილობამ აღნიშნა კომკავშირის მონაწილეობის აუცილებლობა სხვადასხვა ნებაყოფლობითი ორგანიზაციებში, დღემდის ეს საკითხი მოუგვარებელი დარჩა. ამას ამტკიცებს ის გარემოება, რომ მაზრაში 300 კომკავშირელიდან მხოლოდ 230 კაცი ირიცხება რემედასის ორგანიზაციაში.

საჭიროა ეს არანორმალური მოვლენა გამოსწორებულ იქნას. ჩვენ მოუწოდებთ ახალგაზრდობას რემედასის ორგანიზაციებისაკენ. ახალგაზრდობა ენერგიულად უნდა ჩაებას რემედასის ყოველდღიურ მუშაობაში, რათა ამრიგად ხელი შეუწყონ ჩვენი ორგანიზაციის იდეების პოპულიარიზაციას და მშრომელთა მასების ინტერნაციონალურად აღზრდას.

და-ხუ.

ოფიციალური განყოფილება

რემედასის საქ. ც. კ. პრეზიდიუმში.

1. რემედასის საქ. ც. კ. პრეზიდიუმის დადგენილებით, რემედასის ორგანიზაციებში უჯრედთა ბიუროების და სარევიზიო კომისიების გადარჩევები დაწყებულ უნდა იქნეს 1929 წ. თებერვლის პირველიდან და უნდა დამთავრდეს პირველ აპრილამდე, კომიტეტების საოლქო და სამაზრო კონფერენციებით.

2. ა) რემედასის საზამთრო კამპანია — კვირეული უნდა ჩატარდეს მთელს საქართველოში მიმდ. წლის ნოემბერში.

ბ) რემედასის ს. ც. კ. სამდივნოს მიერ წარმოდგენილი, კვირეულის ჩასატარებელი გეგმა დამტკიცებულია პრეზ. მიერ.

გ) რემედასის ს. ც. კ. პრეზ. შუამდგომლობა აღძრა სრულიად საქ. ცენტრ. აღმ. კომიტეტის წინაშე, რათა უკანასკნელმა ნება დართოს რემედასის ორგანიზაციებს ყულაბებით ფულის შესაგროვებლად.

3. რემედასის ს. ც. კ. მე-2-ე პლენუმის მოწვევის დღეთ დანიშნულია მიმდინარე წლის ნოემბრის 10.

სადირექტივო წერილი
8 სექტემბერი 1928 წ.

რემედასის საქართველოს ყველა ორგანიზაციებს.

რემედასის საქართველოს ცენტრალურ კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით მიმდინარე წლის ნოემბრის 10 მოწვეული იქნება რემედასის საქართველოს ც. კ. მეორე პლენუმი.

მრავალ ობიექტიურ მიზეზების გამო, რომლებიც ხელს უშლიდენ რემედასის ცენტრალურ კომიტეტის მეორე პლენუმის მოწვევას გავიდა შესამჩნევად დიდი დრო პირველსა და მეორე პლენუმ შუა. აღნიშნულ პლენუმს უდიდესი მნიშვნელობა აქვს რემედასის მუშაობის გასაძლიერებლად მშრომელთა ფართე მასებში.

ცენტრალური კომიტეტის პირველი პლენუმის შემდეგ რემედასის საქართველოს ორგანიზაციებს აქვთ მთელი რიგი მიღწევები, მაგრამ ამავე დროს მუშაობაში შემჩნეულია ნაკლიც. მეორე პლენუმმა ჯამი უნდა გაუკეთოს რემედასის ორგანიზაციების საზაფხულო მუშაობას. ორგანიზაციები ვალდებულნი არიან შეაჯამონ თავიანთი მოღვაწეობის შედეგები და დაისახონ საპერესპექტივო გეგმა პრაქტიკულ ღონისძიებათა ცხოვრებაში გასატარებლად.

პლენუმის დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები:

1) რემედასის საქ. ც. კ. პრეზიდიუმის ანგარიში.

2) სარევიზიო კომისიის მოხსენება.

3) მოხსენება რემედასის აფხაზეთის, ოზურგეთის, სენაკის, კახეთისა და ქუთაისის ორგანიზაციების მუშაობის შეახებ.

4) რემედასის საქართველოს ორგანიზაციების ფინანსიური მდგომარეობა.

ყველა საკითხებს, რომლებიც წამოყენებულია დღის წესრიგში აქვთ უდიდესი მნიშვნელობა რემედასის ორგანიზაციების მუშაობაში. ამიტომ რემედასის ადგილობრივი ორგანიზაციების ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მოემზადონ მომავალ პლენუმისათვის, ჯამი გაუკეთონ ადგილებზე რემედასის მიერ ჩატარებულ მუშაობას, როგორც ორგანიზაციულ-ფინანსიურ, ისე აღმზრდელობითი მხრივ და თავიანთი მოსაზრებანი წარმოადგინონ ც. კ. მეორე პლენუმის წინაშე.

რემედასის საქართველოს ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევს ადგილობრივი კომიტეტებს ამთავითვე შეუდგენ სათანადო მუშაობას.

რემედასის საქ. ც. კ. პრეზიდიუმი.

პ/მგ. რედაქტორი: **თენგიზ ულენტი.**

სარ. კოლეგია: 1. **ალ. ძოლიავა.** 2. **მიხ. ცაქვიტინიძე.** 3. **პოლიო აბრამია.**

ტფილისი — ს.ს.ს.ფ.ს. პოლიგრაფტრესტ. 1-ლი სტ. პლეგ. პრ. № 91. მთავლ. № 1859. შეკვ. № 1650. ტირაჟი 5000.

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

რემედასის საქ. ცენტ. კომიტეტის გამომცემლობა

ტფილისი ლენინის ქ № 29, ტელეფონი 9—78.

მიიღება ხელის მოწერა

ჟურნალ

რემედას-ზე

1928 წ. განმავლობაში გამოცემული იქნება 12 ნომერი

ჟურნალ **რემედასის საქ. ცენ. და ტფ. კომ. ყოველთ.**

„რემედას"-ი

მასიური ორგანოა

(გამოცემის წელი მეხუთე)

ჟურნალ „რემედას" უმთავრეს ყურადღებას აქცევს კაპიტალისტურ ქვეყნების ციხეებში მოქცეულ პოლიტ-პატიმრების ყოფა-ცხოვრებას თეთრი ტერორისა და კლასიური იუსტიციის ალვირახსნილობას, მშრომელთა ფართე მასების ინტერნაციონალურად აღზრდას, როგორც საბჭოთა კავშირის ისე უცხოეთის სექციებისა და ძმური ორგანიზაციების მოლვაწეობას, ჟურნალში აგრეთვე საკმაო ადგილი ეთმობა მხატვრობასა და ლიტერატურას.

ხელის მოწერის პირობები:

ერთი წლით — **2** მან. **20** კ. | სამი თვით — **60** კ.

ექვსი თვით — **1** მან. **15** კ. | ცალკე ნომერი — **20** კ.

ყოველი შეგნებული მუშა, გლეხი, კომკავშირელი, მშრომელი ქალი და საბჭოთა მოქალაქე უნდა გახდეს ჟურნალ „რემედას"-ის ხელის მომწერი.

ჟურნალ „რემედას"-ის ხელის მოწერის ჩატარება ერთ-ერთი პრაქტიკული ამოცანაა რემედასის ორგანიზაციებისა და უჯრედებისათვის.

ყოველი თვის დასაწყისში გამორკვეული უნდა იქნეს რამდენი ხელის მომწერი უავს ჩვენს ჟურნალს რემედასის აქა, თუ იმ უჯრედში, ან ორგანიზაციაში. აცნობეთ რემედასის საქართველოს ცენტრალურ კომიტეტის გამომცემლობას, როგორ ვრცელდება ჟურნალ რემედასი.

შინაარსი: 1. რემედასის კვირეული. 2. გამოვაცოცხლოთ ალმზრდელობითი მუშაობა — მ. ცქვიტინიძე. 3. „წითელი დახმარება“ გერმანიაში — ფ. გეკერტი. 4. „26“-ს დახვრეტის 10 წლისთავი — ა. გევორქოვი. 5. მისი ამხანაგის ნაამბობი — მირკო. 6. ამხ. ლანცუჩკის მეორედ დაპატიმრება და განთავისუფლება. 7. საჭიროა ანტიფაშისტური კონგრესის მოწვევა — ჰანრი ბარბიუსს. 8. სტეფანე რადიჩი და ხორვატიის ეროვნულ-გლეხური მოძრაობა — დრაგაჩევაცი. 9. ამხ. ბელა კუნი. 10. საკო და ვანცეტი. 11. რღვევის მოლოდინში (ლექსი) — პოლიო აბრამია. 12. ბრძოლის სურათები (მოთხრობა) — სტეფანე კასრაძე. 13. სიმშილობა 40 დღის განმავლობაში. 14. დაკითხვის მეთოდები. 15. მისაბაძი რაიკომი — ა. კ—ი 16. როგორ ტარდება ადგილებზე რემედასის მე-2-ე ყრილობის დადგენილებები — და—ხუ. 17. ოფიციალური განყოფილება.